ცნობის ფურცელი

№ 2023 სამშაბათი, 24 დეკემბერი 1896—1902 ყოველ-დღიური გამოცემა № 2028

გაზეთი ღირს: წელიწადში—6 მან., თვეში—75 კაპ., ცალკე ნომერი—3 კაპ., ფასი განცხადებისა: ჩვეულებრივი სტრიქონი „პეტიტით" პირველ გვერდზე—10 კ., მეოთხეზე—5 კაპ.
ხელის-მოწერა და დასაბეჭდი განცხადებანი მიიღება: „მოამბე"-„ცნობის ფურც." რედაქციის კანტორაში ვანქის დიდ ქუჩაზე, № 27 და წ. გამ. ქართველთა ამხანაგობის კიოსკში (ქაშვეთის ეკკლესიის პირდაპირ).

ხელ-მოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება.—დასაბეჭდი წერილები რედაქციის სახელობაზე უნდა გამოიგზავნოს.—პირდაპირ მოლაპარაკება რედაქციასთან შეიძლება ყოველ დღე, კვირა-უქმეების გარდა, შუადღის 11—1-ლ საათამდე.
ფოსტის ადრესი: Тифлисъ, въ редакцію „Цнобисъ-Пурцели"-„Моамбе". ტელეფონი № 372

ეროვნული ბიბლიოთეკა

მიიღება ხელის მოწერა **1903** წლისათვის

ყოველ დღიურ გაზეთ

„ცნობის ფურცელ"-ზე

სურათებიანის დამატებით კვირაში ორჯელ

(წელიწადი მერვე)

ფასი გაზეთისა გაგზავნით:

კავკასიასა და რუსეთში:	საზღვარ-გარედ:
1 წლით—6 მ., 6 თვით—4 მ., 1 თვით—75 კ.	1 წლით—9 მ., 6 თვით—5 მ., 1 თვით—90 კ.

წლიურ ფასის განაწილება: ხელის-მოწერისათანავე 4 მან., დანარჩენიც 1-ლ მარტამდე.

ყოველ თვიურ საპოლიტიკო და სალიტერატურო ჟურნალ

„მოამბე"-ზე

(წელიწადი მეათე)

ფასი ჟურნალისა

კავკასიასა და რუსეთში:	საზღვარ-გარედ:
1 წლით—10 მ., 6 თვით—6 მ. 3 თვით—3 მ.	1 წლით—13 მ., 6 თვით—7 მ., 3 თვით—5 მ.

ვინც **„მოამბეს"** მთელის წლით გამოიწერს, **სურათებიანი დამატებანი** და **„ცნობის ფურცელი"** უფასოდ გაეგზავნება, მხოლოდ ქალაქ გარედ გასაგზავნ ფოსტის ხარჯისათვის უნდა დაუმატონ 1 მან., რომელიც ხელის-მოწერისათანავე უნდა იქმნეს შემოტანილი.

წლიურ ფასის განაწილება: პირველად—6 მ. ქალაქ-გარედ მცხოვრებთათვის, და 5 მან. ტფილისელთათვის, 1-ლ მარტამდე—3 მ., 1-ლ აგვისტომდე დანარჩენი.

როგორც „ცნობის ფურცლის", ისე „მოამბის" ხელის-მომწერთ პრემიად გაეგზავნებათ

შოთა რუსთაველის

ახალი სურათი,

წიგნ. გამომც. ქართველთა ამხანაგობის საფოტოტიპიოში დამზადებული. სურათი ზომით 9×12 ვერშოკი იქმნება. ქალაქ გარედ ხელის მომწერთ 30 კაპეიკი უნდა წარმოუდგინონ რედაქციას სურათის გასაგზავნად. ეს სურათი ცალკე 1 მან. 50 კაპ. ეღირება.

მომავალ წელს **„მოამბე"**-ში, სხვათა შორის, დაიბეჭდება რუსთა შესანიშნავ მწერლის ლ. ნ. ტოლსტოის რომანის „ვოინა ი მირ"-ის თარგმანი, „რომის ისტორია" და სხვა.

რედაქცია და **კანტორა** იმყოფება ვანქის დიდ ქუჩაზე. **ტელეფონი № 372.**

ფოსტის ადრესი: Тифлисъ, въ редакцію **„Моамбе"** и **„Цнобисъ-Пурцели"**.

ტელეფონი № 741

საბედნიერ დღეოდ

იყიდება

საათიაქო საქონლით მოვაჭრე ფარმაცევტთა ამხანაგობის

მაღაზიაში

(კავკასიის მუზეუმის პირდაპირ „სევერნიე ნომრების" ქვეშ)

შობის ხის სრული მორთულობა ცალკე ყუთებით თითო 4, 5, 6, 7, 8, 10 15 მანეთიანი. აგრეთვე მრავალგვარი საპირფარეშო სამკაული, თმის და თვალ-წარბის საღებავი, კოსმეტიკა-პარფიუმერია (დუხი, ოდეკოლონი, ხელის საპნები და სხვ. და სხვ. კეთილ სურნელოვანება).

ადრესი ფოსტისა: Тифлисъ Товарищество фармацевтовъ.

ადრესი ტელეგრამისა: Тифлисъ Фармацевтика. (10—1)

ტელეფონი № 741

კახური ღვინოები

თელავისა და სიღნაღის მემამულეთა ამხანაგობისა

„დოვერიე" (ნდობა)

მომავალ დღესასწაულებისათვის მსურველთ შეუძლიანთ იყიდონ ამხანაგობისაგან საუკეთესო კახური ღვინოები,

ბოთლი 20 კ.—ვედრო 3 მ. 20 კ. და უფრო მეტს ფასებში.

ნიკოლოზის ქ. სახლი მადათოვისა **№ 31.** ტელეფონი **№345.** (11—5)

სრულიად ახლად გადაკეთებული

„იუჟნიე ნომერა"

მოხდენილად, წმინდად და შესაფერისად მოწყობილი ოთახებით; მოსამსახურე ქალებითა და კაცებით; ყოველგვარად მოწყობილია საცხოვრებლად. ნომრების ფასი სამი აბაზიდან დაწყებული და უფრო ძვირად; თვიურად 15 მან. და მეტიც. **ბარონის ქუჩა,** ფოსტისა და ტელეგრაფის ახლო, ქალაქის შუაგულში. (6—1)

ექიმი

ვ. ლამბაშიძე

იღებს შინაგან და საბავშვო ავადმყოფებს დილის 11—12 საათამდე და საღამოს 6—7 საათამდე.

ბინა: ბარონის ქუჩა, **№ 22,** დიდი ვანქის ქუჩის კუთხესთან. ტელეფონი 642.

ექიმი

დავით ალექსანდრეს ძე

გედევანიშვილი

იღებს შინაგანი, ნერვების სნეულებით და სწამლობს ელექტრონით საღამოს 5—6 საათამდის.

[illegible] ქუჩა, სახლი მარტინოვსკისა, სა[illegible] კრუჟოკის პირდაპირ. (45—38)

კბილის ექიმი

ივანე პავლეს ძე

ახალშენიშვილი

იღებს ყოველ-დღე კბილის სნეულებით ავადმყოფებს დილის 8—10 საათ. და 11—2-ს-ის, ხოლო საღამოობით 5—7-დის. კვირა-უქმე-დღეებში 9—2-დის და საღამოთი 5—7-დის.

ელისაბედის ქუჩა, 38. (წლ.)

ქართულ დრამატიულ საზოგადოების გამგეობა აცხადებს საყოველთაოდ, რომ პარასკევს, 27 დეკემბერს, საღამოს 7 საათზე, სათავად-აზნაურო ბანკის დარბაზში დანიშნულია ქართულ დრამატიულ საზოგადოების წევრთა ჩვეულებრივ **საზოგადო კრების გაგრძელება.**

განსახილველი საგნები.

1. სავარაუდო ხარჯთ აღრიცხვა 1902—1903 წ.
2. მოხსენება არტისტთა ფონდის შესახებ.
3. არჩევანი გამგეობის ერთის წევრისა და სარევიზიო კომისიის სამის წევრისა.
4. მოხსენება შესახებ ქართულის წარმოდგენების მართვისა პროვინციებში.
5. მოხსენება შესახებ დრამატიულ კურსების დაარსებისა.
6. მოხსენება შესახებ დასის მთელის წლით შენახვისა.
7. არჩევანი საზოგადოების ახალის წევრებისა (4—1)

სია

„ქართვ. შორის წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების" წევრთა, რომელთაც შემოიტანეს საწევრო ფული 15—22 დეკემბრის განმავლობაში:

№№	სახელი და გვარი	მ.	კ.
1	ვასილ მანსვეტოვისაგან . . .	6	—
2	ნიკოლოზ ბ. ულუმბერიძისაგან.	300	—
3	კონსტანტინე დ. მესხისაგან.	6	—
4	ონისიმე ზ. ცერცვაძისაგან .	6	—
5	დავით ლეონიძისაგან	6	—
6	სიმონ ოცხელისაგან	6	—
		336	—

ტფილისის

კერძო სამკურნალო

გედევანიშვილისა.

ავადმყოფებს იღებენ ყოველ დღე,

დილით:

ვ. ი. ჯიჯინაძე—კბილის სნეულებანი 8—10 საათამდე.

ნ. ტ. მულინი. ყურისა, ყელისა და ცხვირის 9—10.

მ. დ. ლამბაშიძე—შინაგანი 9—10 საათამდე.

ზ. ზ. ჯალალაშვილი—შინაგანი 10—11 საათამდე, სამშაბათობით, ხუთშაბათობით და შაბათობით.

ი. ზ. ახალშენიშვილი—კბილის სნეულებანი 10—11 საათამდე.

ლ. ი. კამოევი.—საშარდე (ხირურგიული, ავადმყოფობისათვის: სამშაბათობით, ხუთშაბათობით და შაბათობით 10 საათიდან 11-მდის.

დ. ა. გედევანიშვილი, შინაგანი, ნერვებისა და წამლობა ელექტრონით 12—1 ს.

ვ. მ. მანსვეტოვი. შინაგანი, ნერვებისა და პავშვებისა: სამშაბათობით და პარასკევობით 1—2 კვირაობით 10—11.

ა. ზ. ბარსუქოვი—ყურთა სნეულებანი, ორშაბათობით, ოთხშაბათობით და პარასკევობით 12—1 საათამდე.

ზ. მ. ამბარდანოვი—საფიდლისა, კანისა და საშარდესი 1—2 საათამდე.

ვა. მ. ხოზოლევსკი—ხირურგია და ორთოპედია: ორშაბათობით, ოთხშაბათობით, პარასკევობით და შაბათობით 1—2 საათ.

საღამოთი:

ა. ზ. ჯალალაშვილი—შინაგანი, ბავშვებისა და ქალებისა აგრა 5—6 საათამდე. (მიკრო-ქიმიური და ბაქტერიოლოგიური გამოკვლ.) მასაჟი და სამკურნალო გიმნასტიკა", ორშაბათობით, ოთხშაბათობით და პარასკევობით 6 ს.—8 საათ. საღამოს.

სამკურნალოს აქვს საწოლი ოთახები.

ფასი რჩევისა და დარიგებისა 50 კაპ.; ოპერაციები მორიგებით. კრაოტები—სამი მანათიდამ ხუთამდე.

ადრესი: კუკია, ნიკოლოზის ქუჩა, სახლი საკინაშვილისა, №-21. (ავჭალის ქუჩის დასაწყისში).

ტელეფონი № 274 (წ.)

ექიმი

ვ. ს. მუსხელაშვილი

მიიღებს თვალებით ავადმყოფებს დილით 12—2 ს. ყოველ დღე, გარდა სამშაბათისა. [illegible] ქუჩა № 24 სახ. [illegible] (წ).

ექიმი

ალექსანდრე გიორგის ძე

მალალაშვილი

(მიხეილის ქუჩა, 30.—ტელეფონი 450).

იღებს ყოველ-დღე შინაგანისა და საბავშვო სნეულებით ავადმყოფებს დილით 10—1 საათამდე და საღამოთი 6—8-მდი.

საზღვარ-გარედ

—

ინგლისი. ჩვენ მოვიყვანეთ ის ამბავი, რომ რკინის გზის ერთმა კამპანიამ უჩივლა მუშების ორგანიზაციას გაფიცვით გამოწვეული ზარალი და რომ სასამართლომაც დააკმაყოფილა რკინის გზის პატრონების სურვილი. როგორც გაზეთები იტყობინებიან, საქმე ასე შემდგარა:

1900 წელს რკინის გზის კამპანიას დაუთხოვნია სამსახურიდან მეისრე ფიუსტონი, რომელიც ორგანიზაციას ეკუთვნოდა; მიზეზიც ის იყო მისი დათხოვნისა, რომ ორგანიზაციის წევრი იყო. მუშებმა მოსთხოვეს გზის გამგეობას ამხანაგის დაბრუნება და გარდა ამისა ითხოვეს ქირის მომატებაც. მრეწველობისა და ვაჭრობის მინისტრს უთხოვია მუშების ორგანიზაციის მდივნისათვის დეპუტატ ბელისათვის შუამავლობა გაეწია მუშებსა და პატრონებ შორის. მაგრამ კამპანიას არ მოუსურვებია საქმე მუშების კავშირთან ჰქონოდა. მუშებიც მაშინვე გაფიცულიყვნენ. 3500 მუშას უარი ეთქვა საქმისათვის ხელი მოეკიდა. პატრონებს გამოუწერიათ „თავისუფალი" მუშები, ე. ი. ისეთები, რომელნიც ორგანიზაციას არ ეკუთვნიან. ლონდონში არსებობს რამდენიმე ამხანაგობა, რომელიც კისრულობს ასეთ მუშების შოვნას.

როცა ეს „თავისუფალი" მუშები, ან „ბლუტები", როგორც მათ ეძახიან, მივიდნენ გაფიცულ მუშების მაგიერ სამუშაოდ, სადგურზე მათ დახვდნენ ორგანიზაციის მდივნები ბელი და ხოლმესი და რამდენიმე მუშაც. „ამხანაგებოო, უთხრეს მოსულებს, თქვენ სხვის საქმეში ერევით. აქ თქვენი ამხანაგები იბრძვიან თავიანთ უფლებისათვის. დაბრუნდით უკან. აი გზის ფულიც"-ო. სადაც სიტყვამ არ გასჭრა, იქ ძალით ჩასვეს მატარებელში მოსულები და ისე გაისტუმრეს. გაფიცვა სამს კვირაზე გათავდა. მაგრამ რკინის გზის კამპანიამ 250,000 მანეთის ზარალი უჩივლა მუშების ორგანიზაციას. სასამართლოს დადგენილებით, მუშებმა „შეთქმულება მოახდინეს, რომ უკანონო საშუალებათა ხმარებით ზარალი მიეყენებიათ მეპატრონეთათვისო"

სასამართლოს დადგენილებამ დიდი სიხარული და აღტაცება გამოიწვია მსხვილ კაპიტალის წარმომადგენელთა შორის. გაზეთი „ტაიმს"-ი სწერს: „ვინც კი აფასებს შრომის თავისუფლებას, გაიხარებენ, რომ ტერორისმის სისტემას ასეთი საქმე მოუვიდა... ეხლა მუშების კავშირები ველარ განაგრძობენ თავიანთ ტირანიულ მოქმედებას".

„თავისუფალი შრომა" გაზეთ „ტაიმს"-ისა ნიშნავს „თავისუფალ მონობას", ესე იგი „ტაიმს"-ს უხარია, რომ იარაღ-წართმეული მუშა იძულებული გახდება ყველაფერში საქმის პატრონს დაემორჩილოს.

თუ სასამართლოს ხსენებული დადგენილება დაკანონდა, ინგლისელ მუშებს აღარ შეეძლებათ ბრძოლა გაუწიონ თავ-გასულ კაპიტალისტებს: ამათ ყოველთვის შეუძლიათ დაამტკიცონ მუშების „შეთქმულობა" და მოითხოვონ ზარალის აღდგენა.

მუშათა კავშირები მეტად შეძრწუნებული და შეწუხებული არიან სასამართლოს ასეთის განაჩენის გამო: ან უნდა დათმონ, რაც ასის წლის მწარე ბრძოლით შეუძენიათ, ან და ისევ მედგრად, თავ-გამოდებულად შეუდგნენ თავიანთ უფლებისა და ინტერესების დაცვას.

ვინც ინგლისელ მუშას და მის ისტორიას იცნობს, კარგად იცის, რომ იგი ბრძოლას არჩევს, რაც უნდა დაუჯდეს ეს ბრძოლა.

საფრანგეთი. პარიზში ეხლა სხდომა აქვს მთა-მადნის მუშების ეროვნულ საბჭოს. საგანი სხდომისა მეტად საინტერესოა და საზოგადოების დიდ ყურადღებას იწვევს: მუშებმა უნდა შეიძინონ ბუქსორის ნახშირის მადნები, რომელიც ფურშამბო-კომანტრის კამპანიას ეკუთვნის. ამ მადნებში მუშაობდა სამასი მუშა. მთა-მადნის მუშების საერთო გაფიცვას ეს სამასი მუშაც შეუერთდა. მაშინ კამპანიამ გამოაცხადა, რომ მისთვის საზარალოა მადნების დამუშავება და მზად არის სხვას დაუთმოს, რასაკვირველია, შესაფერ ფასში. ადგილობრივ მერის (სოციალისტია) წინადადების თანახმად მთა-მადნის მუშების ეროვნულმა საბჭომ შეიმუშავა პროექტი ამ მადნების ყიდვისა და დამუშავებისა კოოპერატიულ ნიადაგზე. კამპანია თანახმაა მიჰყიდოს მუშებს მადნები 250,000 ფრანკად. მუშების წარმომადგენელი მთავარ მინისტრ კომბთანაც იყო. კომბმა სრული თანაგრძნობა გამოუცხადა მადნების შეძენის პროექტს და მთავრობის სახელით აღუთქვა მუშების წარმომადგენელს ხელის შეწყობა ამ განზრახვის განხორციელებისათვის.

მაკედონია. მაკედონიის ახლო მომავალი ვერ ახარებს მის გულშემატკივართ: ევროპის დიპლომატიას აქამომდე არაფერი მოუმოქმედნია ისეთი, რომ რისამე იმედი იყოს. პირიქით, იგი აქეზებდა სულთანს უფრო სასტიკი ღონისძიება მიეღო აჯანყებულ ხალხის წინააღმდეგ, რომლის მოქმედებას დიპლომატიამ „კანონიერ მთავრობის წინააღმდეგი“ უწოდა. საკმარისია ასეთ სიტყვებს მოჰკრას ყური ოსმალეთის მთავრობამ, რომ გაამართლოს ყოველი თავისი მხეცური მოქმედება. მეტია იმაზე ლაპარაკი, რომ პორტას მიერ გამოცხადებული ვითომდა რეფორმა ტყუილი სიტყვებია. არც ერთ სახელმწიფოს არ მოუთხოვია ოსმალეთისათვის რაიმე გარანტია იმისა, რომ მართლა განახორციელებს დაპირებულ რეფორმას: უამისოდ კი რა აზრი აქვს რაიმე დაპირებას. ოცდა ექვსის წლის წინად კონსტანტინეპოლის კონფერენციაზე ევროპის სახელმწიფოების წარმომადგენლებმა გამოაცხადეს, რომ უგარანტიოდ ოსმალეთში რეფორმა შეუძლებელი არისო. კონფერენცია თხოულობდა მაშინ გარანტიად, რომ გუბერნატორის დანიშვნა უთუოდ ელჩების თანხმობით უნდა მომხდარიყო და დაწესებული ყოფილიყო საკონტროლო კომისია, ევროპის კონსულებისაგან შემდგარი. ოსმალეთმა ამაზე ის უპასუხა კონფერენციას, რომ ასეთი გარანტია ამცირებს მას, როგორც დამოუკიდებელ სახელმწიფოს.

1880 წელს ევროპის კომისიამ ისე მოაწყო საქმე, რომ ოსმალეთის ასეთ დამცირებას გვერდი აუარა: მან მოითხოვა, რომ ევროპის მიერ ხუთის წლით დანიშნული გუბერნატორი ისეთის უფლებებით ყოფილიყო შემოსილი, რომ პორტას დაუკითხავად მოეყვანა სისრულეში კომისიის მიერ შედგენილი პროექტი მაკედონიის რეფორმისა. საბრალო მაკედონელები დღე-დღეზე მოელოდნენ თავის აუტანელ ხვედრის შემსუბუქებას, მაგრამ აგერ 22 წელიწადი გადის და 1880 წლის პროექტი პროექტად დარჩა.

თუ კონფერენცია, საგანგებო კომისია ვერას გახდა, რა შედეგი უნდა მოჰყვეს ელჩების ცალკ-ცალკე მოქმედებას, თუნდა მას რუსეთის გარეშე საქმეთა მინისტრის მგზავრობა მოჰყვეს.

ახალი ამბავი

✦ ქალაქის მოურავის მოადგილემ გუშინ წარუდგინა გუბერნატორსა და სამოსწავლო ოლქის მზრუნველს ზავადსკის სახელოსნო სასწავლებლის გამგე კომიტეტის დადგენილება ამ სასწავლებლის დირექტორის **ბ-ნ ოჰანეზოვის სამსახურიდან დათხოვნის შესახებ.**

✦ ქალაქის გამგეობაში კიდევ აღუძრავთ ლაპარაკი იმაზე, რომ **ქალაქის ინჟინერი იქმნეს დანიშნულიო.** ზოგიერთებს კიდეც ასახელებენ ამ თანამდებობაზე, მაგრამ ამ ადგილზე უთუოდ გზათა ინჟინერი უნდა იქმნეს დანიშნული, რადგან დიდი ხანია ასეთი დადგენილება აქვს ქალაქის საბჭოს ამის შესახებ· ეს მით უფრო საჭიროა ეხლა, რომ ახლო მომავალში ქალაქს მოელის დიდი სამუშაო ქალაქის ქუჩა-მოედნების შეკეთებისა და გაკეთებისა.

✦ სასოფლო-სამეურნეო საზოგადოების კრება ა. ნატროშვილისა და ნ. ა. სულთან-კრიმ-გირეის მოხსენების განსახილველად მოხდება პარასკევს, 27 დეკემბერს. **მოხსენება შესდგება დიდუბის სწავლების სკოლაში.**

✦ ქალაქის სკოლათა გამგე-მასწავლებელნი ამას წინად შეიკრიბნენ და დაადგინეს, მოსწავლეთათვის **საღესასწაულო დროს-გატარება** თავ-თავიანთ სკოლაში გაიმართოსო. გუშინ წინ სკოლათა გამგე კომისიას განუხილავს ეს საქმე და ერთ წევრს ამ კომისიისას აღუძრავს საკითხი: შესაძლებელია თუ არა ამ ჟამად მოსწავლეთა ერთად საღესასწაულოდ თავის მოყრა, როცა ქალაქში გადამდებ სენით ავადმყოფობააო. კომისიამ დაადგინა, შევეკითხოთ ქალაქის ექიმებს ამ საქმის თაობაზედაო. ოფიციალის ცნობებიდან-კი არა სჩანს, რომ გადამდები სენი მართლა ისე გავრცელებული იყოს ქალაქში, რომ ბავშვების დროს გატარებამ უფრო მეტი გზა მისცეს ამ ავადმყოფობას, მით უფრო, როცა მასწავლებლებმა დაადგინეს ყოველმა სკოლამ თავისთვის გადაიხადოს საღესასწაულო დროს-გატარებაო. მოსწავლენი შაბათს დაითხოვეს საღესასწაულოდ. თუ მოსწავლეთა ერთად ყოფნა აქამომდე არ იყო საშიში, ეხლა რაღა შიშიანობა შემოიტანეს იმავე პირობათა შორის!..

✦ კვირას, 22 დეკემბერს, ხელმეორედ დანიშნული კრება დურგალთა ამხანაგობის **„ერთობა“** არ შესდგა, წევრთა დაუსწრებლობისა გამო. ამხანაგობის გამგეობის თავმჯდომარემ მიკირტუმოვმა უკვე უარი განაცხადა თანამდებობაზე. კრება რამდენჯერმე დანიშნა, რომ საზოგადოებას საქმეები ჩაებარებია და ახალი თავმჯდომარე აერჩია, მაგრამ წევრნი არც ერთხელ არ შეიკრიბნენ.

✦ 21 დეკემბერს ტფილისის სათავად-აზნაურო ბანკში მოხდა **საჯარო ვაჭრობა** სოფლის მამულების გასასყიდად. გასასყიდი იყო 13 მამული. გაიყიდა 11. გაყიდულ მამულზე ბანკის ვალი ყოფილა 7860 მან. დარჩენილი გადასახადი 622 მან. 51 კაპ. გაიყიდა 12,288 მან. 11 მამულიდან 10 მამული ქართველის გაიყიდა და 1 გერმანელისა.

✦ კვირა ღამით, მეთერთმეტე საათზე **ორის მხრით მძიმედ დაიჭრა ორი კაცი.** პოლიციელად ნამყოფი ვინმე მიხეილ ბეზგოტოვი ძლიერ გულ-დაკოდილი ყოფილა თავისის ცოლის ყოფა-ქცევით—ცოლი ვინმე მაისურაძეს გადაჰყოლია. ბეზგოტოვი მაისურაძის ბინაზე მისულა მთაწმინდაში, მაისურაძე შინ არ დახვედრია, შესულა იმის ოთახში, კედლიდან ხანჯალი ჩამოუღია და გარედ გამოსულა, ქუჩაში მეეზოვესთან ლაპარაკი დაუწყია. ცოტა ხნის შემდეგ ცოლიც მისულა, ბეზგოტოვი ეზოში შეჰყოლია და იქ ხანჯალი დაუკრავს ცოლისათვის, სამ ალაგას დაუჭრია მძიმედ და გაქცეულა. ყვირილზე მეეზოვე მოვარდნილა, მაგრამ ისე შეშინებია, რომ ისევ გაქცეულა. ბეზგოტოვი გაქცეულა აქედან, თან ხანჯალიც წაუღია და რკინის გზის სადგურზე მისულა, ნდომებია ქალაქიდან გასვლა, მაგრამ მიმავალი მატარებლები აღარ იყო თურმე. უსვამს დუქანში და მერე აქედან არტილერისკი ბალკაში მისულა, ვინმე ლებედევის სახლს მისდგომია და კარების ბრახუნი დაუწყია. სახლიდან ორი კაცი გამოსულა, ამათა და ბეზგოტოვს ჩხუბი მოსვლიათ, ერთ მათგანს პეტრუხინს მძიმედ მუცელში დაუჭრია ხანჯლით ბეზგოტოვი და ოთახში შევარდნილა. იქ მცხოვრებ ნეიდ გარტისათვის კი გამოუცხადებია, ბეზგოტოვმა თვითონ დაიჭრა თავის თავი ხანჯლითაო.

ბეზგოტოვის ცოლი და თვითონ ბეზგოტოვი მიხეილის საავადმყოფოში წაიყვანეს, ორივე მძიმედ დაჭრილები აღმოჩნდნენ. პეტრუხინი პოლიციამ შეიპყრო, ბეზგოტოვი გამოტყდა, ცოლი მე დავჭერი, მერე კი ორი კაცი თავს დამესხა და დამჭრესო.

✦ ქალაქის გამგეობამა და ხორცის დუქნების გამგე კომისიამ გუშინ-წინ **მოისმინა დუქნების მმართველის ნ. ალიხანოვის ანგარიში.** ბ-ნი ალიხანოვი ამტკიცებს, რომ ამ ჟამად მთელს ჩვენს მხარეში გაძვირდა საქონელი და ეხლანდელის ნიხრით ხორცის გაყიდვა ქალაქის დუქნებისათვის საზარალოა, დღეში 64 მანეთს ზარალობსო. ამ რიგად ეხლანდელი ვაჭრობა დუქნებისა ქალაქისათვის ხელსაყრელი არ არის და არც იქმნება, თუ ყველა ხარისხის ხორცს თითო კაპეიკი არ წავუმატა კიდევაო. ამასთანავე მეოთხე ხარისხის ხორციც უნდა შემოვიღოთ—კისრისა და თავისაო—და გირვანქაზე ოთხი კაპეიკი დავნიშნოთო. ბ-ნი ალიხანოვი ამტკიცებს, რომ ქალაქის ყასბები ხორცს ხარისხებად არ ანაწილებენ, ისევ ძველებურად-თავისებურად მეორესა და მესამეს ხშირად პირველ ხარისხის ფასში ჰყიდიან და ამ გვარ ვაჭრობასთან ქალაქის დუქნები ყოველთვის წაგებაში დარჩებიანო. აუცილებელ საჭიროებად ჰთვლის ყასბებზე უფრო მეტი ზედამხედველობა დაინიშნოს, ამისათვის მოსამსახურეთა რიცხვს უნდა მოვუმატოთ, რომ ყასბებმა უთუოდ ხარისხებად და ამის მიხედვით დაწესებულს ფასებში ჰყიდონ ხორციო.

მომავალ შაბათს ამ საგანს განიხილავს კიდევ შეერთებული კრება გამგეობისა, საფინანსო და ნიხრის დამწესებელი კომისიებისა. მერე საბჭოს მოხსენდება ეს საგანი.

✦ ჩვენ მოგვივიდა გრ. ჩარკვიანის მიერ გამოცემული **„სრული ქართლის კალენდარი“** 1903 წლისა. კალენდარი სუფთად დაბეჭდილია და ამ ხნობაზე გაცილებით უფრო სავსედ შედგენილია. მართლ-მადიდებელთა და სომეხ-გრიგორიანთა კალენდრის გარდა ამ კალენდარში ახლად შეტანილია კათოლიკეთა, ებრაელთა და მაჰმადიანთა კალენდრებიც. ჰღირს ორ აბაზად.

✦ 21 დეკემბერს, როგორც მკითხველებმა უკვე იციან, ტფილისის მეორე განყოფილების მოსამართლემ განაჩინა საქმე ხმოსნის ა. ს. ბუდღიანოვ-ბიდლასაროვისა, რომელსაც არ. ფურცელაძე ცილის წამებას უწოდა. გუშინ, 23 დეკემბერს, მომრიგებელ-მოსამართლემ გამოაცხადა, რომ საქმე გადაიდება, რათა ჩვენება ჩამოართვას მოწმეებს, რომელნიც დასახელებულნი იქმნენ ბუდღიანოვის მიერ.

✦ [illegible] უბანში, წყნეთის ქუჩაზე, კვირას 1-ლ საათზე, [illegible] ყარიბოვის სახლს ცეცხლი გაუჩნდა. სახლი ახალია, და დიდი ხანი არაა, პატრონს დაუმთავრებია, დარჩენია. მხოლოდ შიდა მუშაობა-ღა. ბევრი ხის მასალა შიგ ეწყობოდა. ყარიბოვის 7 წლის ბავშვს ამხანაგებისათვის თავი მოუყრია, შესულან ამ სახლში, ბურბუშელა მოუგროვებიათ და ცეცხლი გაუჩაღებიათ. აქე-

---

ფელეტონი

წერილები ლონდონიდან

III

(დასასრული *)

გლაზგოსა, მანჩესტერის და ლონდონის საბჭოებს არც სხვა ქალაქების საბჭოები რჩებიან უკან. ქალ. ლივერპულს საუკეთესო ნავთ-სადგური აქვს მთელს ქვეყნიერობაზე. რაც ამ ნავთ-სადგურზე გამართულობა და მოწყობილობაა, სულ ქალაქს ეკუთვნის და თითონ საქალაქო საბჭო უწევს ზედამხედველობას. ნავთ-სადგური 14 ვერსტის მანძილზე სულ ახალ ტეხნიკის და ნავთსნობის მოთხოვილების თანახმადაა მოწყობილი. აქ არა თუ ზღვის პირას გამართული გემთ-საშენებელი ქარხნები და საქონლის საწყობებია გადახურული, ისე როგორც ანტვერპენში, მარსელსა და ლონდონში, არა, აქ თითონ გემები და ხომალდებიც დატვირთვისა და დაცლის დროს სახურავ ქვეშ დგანან.—ყურადღების ღირსია აგრეთვე პატარა ქალაქი ტორკიც, განთქმული თავის თბილ და სასიამოვნო ჰავით. ტორკიც ზღვის პირას მდებარეობს, მაგრამ ეს სავაჭრო და სამრეწველო ქალაქი როდია. ტორკი უფრო ავადმყოფებისა და მოსვენების მსურველთ ქალაქია. რაც საფრანგეთისათვის ნიცა და რივიერაა, ის კიდე ტორკია ინგლისისათვის. აქაურ საზრუნავ საგანს შეადგენენ—სუფთა ჰაერი, ჰიგიენა, კარგი ახალი სანოვაგე და კარგის ცხოვრების მოწყობა. აქაურმა საქალაქო საბჭომ ტორკი ერთ-ერთ ტურფა ადგილად გადააქცია მთელს ევროპაში; აქაური ჰავაც თავის სიმრთელით საუკეთესოდ ჩაითვლება. ზღვის პირა ქუჩები, ალეები, ბულვრები, სკვერები, ბაღები და პარკები ისე საკვირვლად და ტურფად ინახება, რომ ინგლისშიაც კი უკვირთ, თუმც ინგლისის პარკებმა და საზოგადო ბაღებმა დიდი ხანია, რაც აჯობეს პარიზისა, ვენისა და სხვა სატახტო ქალაქების პარკებსა და ბაღებსა. ქალაქ ტორკს სამაგალითო ფერმაც აქვს გამართული; ამ ფერმიდან მოაქვთ ქალაქში საუკეთესო რძე, კარაქი, კვერცხი და სხვა სანოვაგე.

ყველაზე საინტერესო კი, მგონია, რომ ლონდონის პატარა განაპირა უბნის ვულიჩის საბჭოს მოქმედება იყოს. ეს პატარა ქალაქი საზღვაო არსენალს გარშემოა გაშენებული და აქამდე იმისი მცხოვრებლები არიან მუშები—მეხანიკები, მჭედლები, ზეინკლები, საზღვაო არსენალში მოსამსახურეები და ფლოტის მაშინისტები. რამდენიც ლონდონი იზრდებოდა და ვულიჩს უახლოვდებოდა, ამ პატარა ქალაქის მცხოვრებლებსაც იმდენი ემატებოდა; გაჩნდა ნაირ-ნაირი ხალხი, ვულიჩში დაარსდა კოოპერატიული საზოგადოება, საურთიერთო კრედიტის საზოგადოება და შემნახველი კასები. კოოპერატიულ საზოგადოების დამაარსებელთა შუა ახალგაზრდა, განათლებული და მხნე კაცებიც ერივნენ; ამ კაცებმა დაარწმუნეს კოოპერაციის წევრები, იმის მაგივრად, რომ მოგება ერთმანერთში გავინაწილოთ, სჯობს საზოგადო საჭიროებასა და საქალაქო საქმეების გაუმჯობესებასა და განვითარებას მოვახმაროთო. ამის წყალობით პატარა ქალაქში სამაგალითო სკოლები დაარსდა და ამის გარდა, საუცხოვო უფასო ბიბლიოთეკა, სურათების გალერეია და მუზეუმიც გაიმართა. კოოპერაცია ყოველნაირ საქონელს აწვდის თავის წევრებს: ბაზაზის საქონელს, სანოვაგეს, ბოსტნეულობას და ხილს; დაარსებულია აგრეთვე საზოგადო პურის საცხობი და ხორცის დუქნები; კოოპერაციის წევრთა რიცხვი ყოველ წელს იზრდება და ეხლა რაც აქ სრულწლოვანი ვაჟკაცია, ამათი რიცხვის ნახევარზე მეტი კოოპერაციის წევრად ჩაწერნენ.

როდესაც ხალხში ნდობა მოიპოვეს, საქმის მოთავეებმა ურჩიეს კოოპერაციის წევრებს და საქალაქო საბჭოს, იაფი, მაგრამ კარგი სახლები ავაშენოთ მუშა ხალხისათვისაო. მეზობელ მებატონისაგან ცალიერი მიწა იყიდეს. რამდენსამე ნაჭერ მიწაზე ქუჩები გაიყვანეს და აქეთ-იქიდან ორ სართულიანი და სამ-სართულიანი სახლები ააშენეს. ყოველ სახლთან ბაღია გაშენებული, სახლში გაყვანილია წყალი, გაზი და ელექტრონის ძალა. სადგომები ორ სართულშია გამართული: სასტუმრო, სასადილო, სამზარეულო და სამრეცხაო პირველ სართულში, სამი საწოლი ოთახი და საბანებელი—მეორე სართულში. ესეთია ჩვეულებრივი სადგომი იმ მუშებისა, რომლებიც კვირაში 25 მანეთზე მეტსა შოვობენ. დიდ სახლებს მომეტებულ ნაწილად ხელოსნები და საზოგადო და სახელმწიფო დაწესებულების მოსამსახურეები იჭერენ. სადგომებს ქირით აძლევენ კოოპერაციის წევრებს. სახლის ქირა ამნაირადაა გამოანგარიშებული: მიწის და შენობის ღირებულობას ანგარიშობენ და თავნ ვალის გასასტუმრებელ სარგებელსაც ზედ მიდიან. 12—15 წლის შემდეგ სახლი მდგმურის საკუთრებად ხდება.

რა გასაკვირველია, რომ ამ სახლებს აშენებასაც არ აცდიან, წინდაწინვე იჭერენ. ეს სახლები მშვენივრადაა აშენებული და კარგად მოწყობილი, შიგ გაყვანილია გაზი და ელექტრონის ძალა. საკოოპერაციო დუქნიდან სახლებში მიაქვთ სანოვაგე; უმთავრეს ქუჩებში გაყვანილია ტრამვაი... ადვილი გასაგებია, რომ ყველასათვის სასიამოვნო იქნება აქ ცხოვრება: ყველასათვის სასიამოვნოა კარგადა და იაფად იცხოვროს და თანაც დარწმუნებული იყვეს, რომ 12—15 წლის შემდეგ ამავე სახლის მესაკუთრე გახდება

---

*) იხ. „ცნ. ფურც.“ № 2011.

ჯა განსაკუთრებულ ტანისსამოსში იყოს ჩაცმული და შეიარაღებულიც იქნეს რევოლვერითაო.

◆ როგორც გავიგეთ, წელს ერევანშიაც აპირებენ „ქ. შ. წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების“ სასარგებლოდ **ქართულ საღამოს გამართვას.** საღამოს გამართვა იკისრა თავ. სოლ. მიქელაძემ.

◆ მოგვივიდა მარგანეცის მრეწველთა საბჭოს **ფულის ანგარიში** 1900 წლის 1-ლ ივლისიდან 1902 წლის 1-ლ ივლისამდე. 1900 წლის 1-ლ ივლისისათვის საბჭოს კასაში ყოფილა 8.682 მ. 48 კაპ. საანგარიშო დროს განმავლობაში კასსას შესმატებია 530.856 მ. 47 კ.; ამავე დროს დახარჯულა 537.507 მ. 21 კ.; 1902 წლის 1-ლ ივლისისათვის დარჩენილა 2031 მან. 74 კაპ.

◆ ნ. ხუდადოვს მოხსენება შეუტანია გამგეობაში. სწერს, რომ გამგეობა, **დიდ ფასს ახდევინებს ნაძალადევში** მიწის მოიჯარადრეთა საბჭოს წინად გადაუწყვეტია, რომ საქენში ნაძალადეველთ გამოართვას 5, 10 და 15 კაპეიკი, გამგეობა-კი 25, 40 და 50 კაპეიკს ახდევინებს თურმე.

◆ ჩვენ გვთხოვენ გამოვაცხადოთ, რომ მასწავლებელ და აღმზრდელ ქალთა საზოგადოება წელსაც უმართავს **ღარიბ ბავშვთ ნაძვის ხეს** და საზოგადოებას დახმარებას სთხოვს. შემოწირულებანი (ფულით, ტანთსაცმელით, სათამაშოებით და სხვა) მიიღება საზოგადოების კანტორაში, გრაფსკი ქუჩისა და ტროიცკის ვიწრო ქუჩის კუთხეზე, ტერნიკოლოსოვის სახლში.

◆ ხვალ, 26 დეკემბერს, ავჭალის სახალხო თეატრში პირველი ვაჟთა საკვირაო **სკოლა გამართავს სალიტერატურო-სამუსიკო დილას.** მოსწავლეთა ხორო ბ-ნ ცხომელიძის ლოტბარობით შეასრულებს სიმღერებს. ამას გარდა ბავშვები წაიკითხავენ ლექსებსა და სცენებს.

◆ **რკინის გზის მაღაზიას დიდუბეში განყოფილება აქვს.** შესანიშნავი ის არის ამ განყოფილებაში, რომ რკინის გზის უწყებაში არა მოსამსახურეებზე აქ არ ჰყიდიან არაფერს, ან თუ ჰყიდიან—ძლიერ იშვიათად. მით უფრო გასაკვირველია ეს ამბავი, რომ თვით მაღაზიის ფართოდ მოქმედებას ხელს შეუშლის ეს გარემოება, თუმცა ისიც საგულისხმოა, რომ დიდუბის ხელმოკლე მცხოვრებთათვისაც შესამჩნევად სახეირო იქმნება ამ მაღაზიით სარგებლობა.

◆ ეგზარხოსის განკარგულებით, თიონეთის მაზრის **სკოლების მეთვალყურედ** დანიშნულ იქმნა თიანეთის ოლქის ბლაღოჩინი მღვდელი ვლ. გძელიშვილი.

◆ ქალაქის საქიმიო ლაბორატორიის გამგეს ბ-ნ ალიბეგოვს უთხოვნია ქალაქის გამგეობისათვის: რადგან დიდ-ძალი ღორის ხორცი შემოდის შიდა რუსეთიდან, **ლაბორატორია ვერ ასწრობს**, დროზე გასინჯვას და შემოწმებას; ამიტომ ფული მოგვიმატეთ, კიდევ მოვიწვიოთ რამდენიმე კაცი მიკროსკოპით მუშაობისათვისო.

◆ გუშინ, 24 დეკემბერს, ეჩმიაძინიდან ტფილისს ჩამოვიდა სომეხთა **ეპარქიის მღვდელ-მთავრად** დანიშნული ეპისკოპოსი სურენიანცი.

◆ ბოქაულს ე. გუგუშვილის მეცადინეობით, **დიღმის** სოფლის საზოგადოებამ შეიძინა საკუთარი სახლი სოფლის კანცელარიის მოსათავსებლად. საზოგადოებამ ხის შენობაში მისცა 800 მან. შეკეთებას დასჭირდება კიდევ 500 მან. ამ სახლში ერთი ოთახი დაეთმობა დიღომის უფასო ბიბლიოთეკა-სამკითხველოს.

◆ ჩვენ გვქონდა აღნიშნული, რომ მულდაგრის გზაზე, სოღანლუღის მახლობლად, ყაჩაღები დაეცნენ ამურგულაშვილსა და მიკურგაშვილს და გაძარცვესო. ამავე ადგილას 15 დეკემბერს ვიღაც შეიარაღებულნი ბოროტ-მოქმედნი დასცემიან თავს ტფილისიდან ეტლით მიმავალ ალავერდოვსა და სხვებს. მგზავრთ წინააღმდეგობა გაუწევიათ ყაჩაღებისათვის. ყაჩაღებს ხანჯლითა და რევოლვერით დაუჭრიათ მძიმედ თვით ალავერდოვი და ერთი იმისი ამხანაგი. დაჭრილნი მიხეილის სამკურნალოში გაგზავნეს. ბოროტ-მოქმედნი დღევანდლამდე ვერ აღმოუჩენიათ.

◆ როგორც გვატყობინებენ, დუშეთის მაზრის სოფელ ბაზალეთის საზოგადოებას მშვენიერი სახლი აქვს სოფლის სამმართველოსა და სხვა დაწესებულებათა მოსათავსებლად. ამ ახალ შენობაში ცოტა ხანს იყო მოთავსებული სოფლის საზოგადოების სამმართველო; ეხლა, ადგილობრივ ბოქაულის განკარგულებით, სამმართველო გადაუტანიათ დაქირავებულ სახლში დუშეთის მახლობლად. საზოგადოებას ამ სახლის შესანახად ახდევინებენ ფულს და საკვირველია ან რად გაადებინეს ხარჯი ბაზალეთში შენობის ასაგებად, ან თუ ააგეს, სხვაგან რად გადაიტანეს სამმართველო?

◆ შაბათს, 28 დეკემბერს, სხდომა ექნება ტფილისის საბჭოს საფინანსო კომისიას, რომელმაც უნდა განაგრძოს 1903 წლის შემოსავლისათვის აღრიცხვა.

◆ პოლიცმეისტერს ბრძანება გაუცია, მომავალ დღესასწაულების დღეებში პოლიციელებმა არ ჩამოიარონ კარ-და-კარ მისალოცავადაო.

◆ პუშკინის ქუჩაზე ამ დღეებში ორი მაღაზია გაუქურდავთ—გოგიძისა და ასლამაზოვისა. პირველისათვის ეზოდან შეუმტვრევიათ მაღაზიის კარები, შესულან იქა და გამოუტანიათ საქონელი და ფულად სულ 50 მანეთამდე. ასლამაზოვის მაღაზიაში ფეხის ადგილიდან შეუმტვრევიათ კედელი და მხოლოდ შვიდ თუმან ნახევარი ამოუღიათ დახლიდან, საქონლისათვის-კი ხელი არ უხლიათ. ქურდები ჯერ არ აღმოუჩენია პოლიციას.

ქუთაისის ახალი ამბები

◆ სასოფლო-სამეურნეო საჭიროებათა კომიტეტის 1-ლ სექციას, სხვათა-შორის, დაუდგენია შემდეგი: 1) აღძრულ იქმნას შუამდგომლობა, რომ ქუთაისის გუბერნიაში არ იქმნას შემოღებული მაგარ სასმელების მონოპოლია, რადგან ის ცუდად იმოქმედებს ღვინის მრეწველობაზე; 2) აღძრულ იქმნას შუამდგომლობა, რომ ქუთაისის გუბერნიის მჭიდროდ დასახლებულ ადგილებიდან გლეხებს მიეცეს ნება ჩერნომორიის გუბერნიაში გადასახლებისა და იქ ადგილებიც მიუზომონ.

◆ ვაჭარს ლეიქაროვს უთხოვნია ამხანაგობა „კოლხიდა“-სათვის გამართოს ქუთაისის გუბერნიის სხვა-და-სხვა ადგილებში მისის სამეურნეო იარაღთა გამოცდა და დემონსტრაცია.

◆ 22 დეკემბრისათვის დანიშნული ქუთაისის საურთიერთო ნდობის საზოგადოების წევრთა საგანგებო კრება არ მოხდა, რადგან საკმაო რიცხვი არ გამოცხადდა.

◆ თანახმად საბჭოს დადგენილებისა, ქალაქის გამგეობამ შეჰკრიბა ცნობები სხვა-და-სხვა ქალაქებიდან, თუ რა წესი არსებობს იქ კვირა-უქმე დღეებში სავაჭროების დაკეტვის შესახებ. როგორც ჯერჯერობით მოსულ ცნობებიდანა სჩანს, კვირასა და თორმეტს დიდს უქმე დღეებში სავაჭროები ან სულ დაკეტილია, ან გაღებულია თორმეტი საათიდან ნაშუადღევის ორ საათამდის. ასეთი ცნობები მოსულია: ტფილისიდან, კავკავიდან, ბათომიდან და სხ.

◆ 25 იანვარს ქუთაისის „კრუჟოკ“-ის დარბაზში, კნ. ნ. მ. თავდგირიძის თაოსნობით, გაიმართება სალიტერატურო-სასიმღერო-სამუსიკო საღამო საკვირაო სკოლის საშვალებათა გასაძლიერებლად. ამ საქმისათვის ამორჩეული კომისია ყოველ ღონისძიებასა ჰხმარობს, საღამო კარგად მოეწყოს: ამზადებს ქალ-ვაჟთაგან შემდგარ მომღერალთა გუნდს, ამზადებინებს წასაკითხავად რამდენსამე ლექსს. სხვა ქალაქებიდან იწვევს გამოჩენილ მომღერლებს და სხ. ერთის სიტყვით, მათი ასეთი ცდა სრულს იმედს იძლევა, რომ საღამო ჩინებულად ჩაივლის. სრული იმედი უნდა გვქონდეს, რომ ჩვენი გულ-უხვი საზოგადოება დახმარებას აღმოუჩენს ამ სიმპატიურ საქმეს როგორც საღამოზე დასწრებით, ისე კერძო შემოწირულებით, და შეძლებას მისცემს რამდენსამე ასს ბედისაგან დაჩაგრულ ბავშს, წერა-კითხვა მაინც ისწავლონ.

◆ 26 დეკემბერს, ნაშუადღევის 3 საათიდან, ქუთაისის „კრუჟოკ“ ის დარბაზში ბავშთა სამზრუნველო კომიტეტის თავმჯდომარე ტ. გ. ნაზაროვისა ქუთათურს ღარიბ ბავშებს გაუმართავს „შობის ხეს“. ამ საღამოსვე ბავშებს დაურიგებენ ტანისამოსებს.

◆ 29 დეკემბერს ქუთაისში მოელიან კავკასიის მთავარ-მართებლის თანაშემწეს ბ-ნს ფრეზეს.

◆ ქუთათურ თუთუნის მექარხნეს სტ. ფირალოვს თხოვნით მიუმართავს ქალაქის საბჭოსათვის, რომ ნება მისცეს მას თავისის ქარხნიდან, რომელიც მდებარეობს ტფილისის ქუჩაზე, ელექტრონის ძალა გადაიტანოს მავთულებით მიხეილის ქუჩაზე თუთუნის მაღაზიის ელექტრონით გასანათებლად. გარდა ამისა, ნება მისცეს, რომ იმ ქუჩებზე, სადაც მავთულები გაივლის კერძო მესაკუთრეთა სახლებიც გაანათოს ამასთან პირობას იძლევა, რომ ქალაქი თვითონ იკისრებს ქუჩების ელექტრონით განათებას, ან სხვას მისცემს ამის კონცესიას, თუ მაშინვე ხელს აიღებს კერძო შენობების განათებაზედ. ქალაქის გამგეობას სააღმშენებლო კომისიის თანდასწრებით განუხილავს ბ-ნ ფირალოვის თხოვნა და შეუძლებლად უცვნია მისი დაკმაყოფილება, მხოლოდ იმის ნება-კი მიუცია მთხოვნელისათვის, რომ თავისი მაღაზია გაანათოს ელექტრონით.

◆ ქალაქის ბეითალის ბ. ლანგის წინადადებით, საბჭომ გადასწყვიტა, რომ საშობაოდ მეორე მიკროსკოპიული სადგური გამართოს ქუთაისში დაკლულ ღორების გასასინჯავად. ახალი სადგური გამართულია რიონის მარჯვენა ნაპირზე, ახალ ყაფანთან.

რუსეთის ქრონიკა

◆ 16 დეკემბრიდან სახელმწიფო საბჭო შეუდგა იმ პროექტის განხილვას, რომელიც სამოსამართლო რეფორმას შეეხება.

◆ უმაღლესს მთავრობას აზრადა აქვს ნება დართოს საკომერციო სასწავლებლებში კურს-დამთავრებულთ შევიდნენ ხოლმე არა მარტო უმაღლესს სპეციალ სასწავლებლებში, არამედ უნივერსიტეტის ზოგიერთ ფაკულტეტებშიაც კი. ჯერ-ჯერობით იმათ ნება დართული აქვთ მოსკოვის სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტში შესვლისა.

◆ 29 დეკემბერს ფინანსთა სამინისტრო დღესასწაულობს 100 წლის არსებობას. ამ დღისთვის გამოვა მიმოხილვა სამინისტროს მოქმედებისა ასის წლის განმავლობაში.

◆ 12 დეკემბერს სარატოვის სამოსამართლო პალატამ დაასრულა ბალაშოვის მაზრის იმ 18 გლეხის საქმის გარჩევა, რომელთაც ჰბრალდებოდათ უწესოების მოხდენა და პოლიციისათვის წინააღმდეგობის აღმოჩენა. პალატამ 13 კაცი სრულიად გაამართლა, დანარჩენ ხ-დან ერთს მიუსაჯა 8 თვით დაპატიმრება და ოთხს—ოთხ-ოთხი თვით.

ტფილისის «მამათა» დარბაზიდან

გუშინ-წინდელი სხდომა კარგად დაათავა ხმ. ხატისოვმა—სრული ორი საათია აქ ვზივართ, ვლაპარაკობთ და საქმე კი სრულებით არაფერი გაგვიკეთებია; გთხოვთ ამიხსნათ, რა საგნები უნდა ვანვიხილოთო? ისინი, რომელიც სიაში მოქცეულია, თუ ისინი, რომელთაც ბატონი ხმოსნები მოისურვებენო.

სიმართლე მოითხოვს ვსთქვათ, რომ სხდომის უნაყოფობისა და ცუდად დროს დაკარგვის ბრალი სავსებით ძველ და „გამოცდილ“ ხმოსნებს ედებათ. ახალი და ახალგაზდა ხმოსნები არაფერ შუაში იყვნენ; პირ-იქით, სცდილობდნენ კიდეც სხდომა უფრო საქმიანი გაეხადათ, მაგრამ „მჭევრ-მეტყველ“ ხმოსნებთან ვერა'ს გახდნენ. მარტო

სანიც ხომ ამბობს: „ბაგენი შენნი ლალისა ფერნიო“. მთელს ქვეყანაზე არ მოიპოვება იმაზე უფრო ძვირფასი აბრეშუმი, რომელსაც შენ ატარებ; ესაა შენი აბრეშუმის თმა. და ყველა ესენი მე შენგან ვიყიდე.

ვითარცა ხელი, გაიჭრა ველად საცოდავი აბდალა, რა გაიგო, რომ ალ-ნუმანმა ცოლი მოსტაცა. უკანვე დაუბრუნა საზიზღარი ოქრო, ფას-უდებ ზობეიდაში აღებული; მევახშეთ მისცა გემ აქლემები და საქონელი; თვით ხელთ აიღო თავისი თარი და მიატოვა ტკბილი სახლ-კარი. ყველაფერი დაჰკარგა: ცოლი, ოჯახი, სიმდიდრე, ჭკუა, გონება. მაგრამ, აი, მოჰფრინდა პოეზიის ღმერთა, შუბლზე აკოცა და უწყალობა მგოსნობის ნიჭი. თარით ხელში ქუჩა-ქუჩა დადის აბდალა და ზედ დამღერის საოცნებო ჰანგებს; ხალხი კი სულგანაბული გარს შემოჰხვევია.

ერთხელ აბდალა ხალიფის სასახლესთან მივიდა თარს დაჰმღერა. მოავიამ დაინახა აივნიდან, ბრძანა დაეძახებინათ იმისთვის და სთხოვა დაეკრა გულის სიღრმემდის ჩამწვდენი რამ საგალობელი.

მგოსანმა დაიწყო ლექსი მშვენიერ ზობეიდას შესახებ, თუ რა მტარვალობითა და ძალადობით ალ-ნუმანმა მოსტაცა იგი ქმარს. ჩანგის სიმები იმგვარად ჰღეროდა, ხმებიც იმრიგად შიგ ეწნებოდა, რომ ხალიფისა გული ლბებოდა და თვალზე ცრემლიც კი ადგებოდა.

— აღსრულდეს შენზე განჩინება სამართალისა!—სთქვა მოავიამ, როცა შესწყდა ხმა და აბდალა მის ფერხთ წინ განერთხა.

ხალიფმა მაშინვე ბრძანა, ალ-ნუმანი იმის წინ წარმომდგარიყო და ჰკითხა მას:

— რა გირჩევნია: ზობეიდას, თუ თავის დაკარგვა?

— ოჰ, დიდებულო! რომ შემძლებოდა მე უთავოდ მისი მფლობელობა, სიამოვნებით შევწირავდი მსხვერპლად იმას ჩემს თავსა. უზობეიდოდ ჩემი თავი მე აღარ მინდა; თუ ის არა მყავს, ჩემი თავი არ მიღირს ჩირად! ოჰ, დიდებულო! კეთილ ინებეთ და შემეკარით მე ამ პირობით: ნება მიბოძეთ, ზობეიდა ჩემთან სცხოვრობდეს მხოლოდ ამ ერთ წელს და შემდეგ კი თავი მომკვეთეთ...

ხალიფი გაოცებით მისჩერებოდა მოლაპარაკეს. „რა დამაბრმავებელი სილამაზე უნდა იყოს, რომ იმის გულისათვის კაცმა თავი მოსაკლავად გაიმეტოს!“

— ჩვენ ასე ადვილად ვერ მოვრიგდებით! —უთხრა ხალიფმა:—ან ეხლავ ქალი მომგვარე, ან თავი დასტოვე აქ.

მოავიას თვითონ მოესურვა ამ ქალის ხილვა. როდესაც ზობეიდა მოიყვანეს და მათი თვალები ერთმანერთს შეჰხვდნენ, ხალიფის გულმა თოფის წამალივით იფეთქა. ზობეიდამ ხალიფის წინ დაიჩოქა და ქმართან დაბრუნებას ევედრებოდა.

მოავიამ აიყვანა ის თავის ტახტის საფეხურზე და ტკბილის ხმით უთხრა:

— მშვენიერებავ! დაივიწყე შენი ქმარი და გახდი ჩემ მეუღლედ; იყავ მონაწილედ ჩემის ტახტისა.

— მე ღირსი არა ვარ შენი უგანათლებულესობისა! გევედრები, გამიშვა აბდალას ქერ ქვეშ!

— აბდალა ხომ გალატაკდა, მთელი საცხოვრებელი დაჰკარგა.

— ჩემის გულისათვის დაჰკარგა მან ყველაფერი, ჩემის წყალობით გახდა მათხოვრად და სამართლიანიც იქმნება, მე გავიყო იმისი მწარე ხვედრი.

ამ გვარმა წინააღმდეგობამ მთლად გაალვივა ხალიფის ვნებანი. ბრძანა, მთელი სასახლე შეკრებილიყო სატახტო დარბაზში და ზობეიდაც იქვე მოეყვანათ. ხალიფის ბრძანებით აბდალაც შემოიყვანეს.

მტვერში ამოგანგლული, რომელიც მთელხორცში ჩასჯდომოდა, დაფლეთილის ტანისამოსით, უდაბნოში ხეტიალის დროს ქვებისა და ეკლებისაგან დალოზილის ფეხებით, რომლებიდანაც სისხლი სდიოდა, იდგა კუთხეში საცოდავი აბდალა.

— შემომხედე ჯერ მე და მერე ამას: მე ხომ მეფე ვარ, ეს კი—მათხოვარია, მე კაცი ვარ და ეს კი—არარა; მე მთელი ქვეყნის მბრძანებელი ვარ, ეს მხოლოდ ქუჩის მაწანწალა. აბა, რომელი მოგწონს, ირჩიე, და რომელს გინდა, რომ ეკუთვნოდე?

სიცილ-ტირილით მიჰვარდა ზობეიდა ამ ლატაკს, ჩაეკრა გულში და ჰკოცნიდა იმის გამხმარ ლოყებსა და დასისხლიანებულ ფეხებს.

— ჩემი ქმარი... ჩემი საყვარელი ქმარი!.. იმეორებდა კვნესით. და მოავიამ მსაჯულს კი არ დაუძახა, არამედ მოლარეს, და უბრძანა დაებრუნებინათ აბდალასათვის მთელი სიმდიდრე, ზობეიდასთვის კი ყველა მისი ნივთები და მეფის ცხენებით გაესტუმრებინათ ისინი სამშობლოში. მხოლოდ გასტუმრების წინ უთხრა ზობეიდას:

— უბედურებას ბევრს შეგამთხვევს ეგ სილამაზე შენც, შენს მეუღლესაც და ბევრს სხვასაც. ამიერიდან დამალულ იყოს შენი სახე **ჩადრს** ქვეშ, როდესაც ქუჩას გახვიდე რამ საქმისათვის. დაე, ეგ შენი სილამაზე შენს ქმარს ეკუთვნოს, მხოლოდ იმისათვის ანათებდეს და იგი ათბოს.

მაგრამ, ამ აკრძალვით რომ ზობეიდას ჩირქი არ მოსცხებოდა, ხალიფმა გასცა ბრძანება, ამიერიდან დედა-კაცებმა ქუჩებში და მოედნებზე **ჩადრით** დაიფარონ პირისახეო.

დონ-ვალიანი

ხმოსანი ფრიდონოვი ოთხჯერ მაინც დაუბრუნდა ერთხელ უკვე გადაწყვეტილ კითხვას. ძველ საბჭოში ბ. ფრიდონოვი მშვიდობიანი და წყნარი ხმოსანი იყო, ეხლა კი ბევრი ნიშნებია იმისი, რომ „მოუსვენარი“ გახდება.

ბ. შესტაკოვი არ მოვიდა და საბჭოს თავმჯდომარეობა ბ. ჩერქეზიშვილმა იკისრა. წინანდელ სხდომის ოქმი სავსებით წაიკითხეს და, როგორც სჩანს, შემდეგშიაც ეგრე იქმნება, თუ ხმოსნების სიზარმაცემ არ დასძლია: მთელი თვრამეტი წამი მოუნდა ოქმის წაკითხვასო, მწარედ ამოიკვნესა რომელღამაც ხმოსანმა. ოქმის წაკითხვის შემდეგ ხმოსნები ერთმანეთს ეჯიბრებოდნენ გამგეობისადმი მიმართულ „შეკითხვებში“

ჯრმაკ ბაბოვი ჰკითხულობს, რატომ აქამდე არ წარმოუდგენია გამგეობას მოხსენება წყლის მეორე მაგისტრალზეო. საქმე დიდი ხანია უდნა ჰქონდეს მოხსენებული საბჭოსო.

ხმ. ხუდადოვი ჰკითხულობს, წყლის მილს ჰყავს ვინმე ყურის მგდებელი თუ არაო; მე ვიცი, რომ ერთ ადგილას ძალიან ბევრი წყალი ილვრება სულ ტყუილა უბრალოდო, რადგან კრანი არ ვარგაო.

ხმ. ბადასაროვი დარწმუნებულა, რომ წავკისის ქუჩაზე წყლის კრანი არ არის, რის გამოც ცეცხლის გაჩენის დროს დიდ გაჭირვებაშია იმ კუთხის ხალხიო (თურმე კრანის დადგმა უაზრო იქნება, რადგან მილის წყალი არ ადის იმ უბანში).

ხმ. სულხანოვი ამბობს, რომ რადგან შეკითხვებზე მიდგა საქმე, მასაც აქვს საკითხავი:—ლომბარდის საკუჭნაოს გასაკეთებლად შვიდასი მანეთი გადადო საბჭომ და რატომ აქამდე არაფერი გაუკეთებიათო. ამ დღეებში გავაკეთებთო, უპასუხა ჩერქეზიშვილმა.

დანარჩენ შეკითხვების პასუხი შემდე სხდომებზე უნდა მოხსენდეს საბჭოს.

უნდა აერჩიათ სამრეწველო გადასახადის განმანაწილებელ საკრებულოს ექვსი წევრი ვაჭართაგან. ვსთხოვოთ ისევ ძველებსო, დაიძახა რამდენმამე ხმოსანმა, მაგრამ ხმ. თაიროვი ამტკიცებს, რომ ხსენებულ წევრების არჩევა არც ისე ასაგდებია, რომ დაუფიქრებლად გადაწყდესო. ამიტომ საჭიროა შევეკითხოთ ვაჭართა საზოგადოებას და სახაზინო პალატას და ისინი მიგვითითებენ საჭირო პირებზეო. საბჭოც დაეთანხმა თაიროვის წინადადებას.

დიდი და უთავბოლო ლაპარაკი გამოიწვია კუკიისა და ავლაბრის აგარაკების საქმემ. აქამდე ეს ადგილები საჯარო ვაჭრობით გაიცემოდა ხოლმე. უკანასკნელ ვაჭრობაზე ქალაქისათვის შეუძლევიათ 6100 მანეთი. გამგეობას უცოტავნია ეს ფული და დაუდგენია, თვითონ გაუძღვეს ხსენებულ აგარაკებს მით უმეტეს, რომ საძოვარიცა და თივაც თითონ ქალაქსაც სჭირდება ქალაქის საყასპოების გამო.

ხანგრძლივ ლაპარაკის შემდეგ, საბჭომ დაადგინა—დარჩეს ერთის წლით ხსენებული ადგილები გამგეობის ხელში; დაარსდეს საგანგებო კომისია, რომელიც თვალ ყურს უგდებს ამ საქმეს, ერთის წლის შემდეგ-კი საბჭოს უნდა წარმოუდგინოს სრული ცნობები აგარაკების ექსპლოატაციის შესახებ და კითხვაც მაშინ უნდა გადაწყდეს საბოლოოდ. ხსენებულ კომისიის წევრებად აირჩიეს: ნ. ხუდადოვი, პ. ყიფიანი, სვეჩნიკოვი, კაზაკოვი, ფეფელოვი, ფირალოვი და მირზოევი.

შემდეგ აირჩიეს საყასპოებისა, ტყის მოშენებისა და ნიხრის კომისიების წევრნი; პირველში აირჩიეს: ექიმები ბაბოვი, ვესელოვზოროვი, ვაწაძე; თაიროვი, თამამშევი, ჯაბადარი, ა. ევანგულოვი, ი. სულხანოვი, ხატისოვი; მეორეში: ხუდადოვი, ფლორენსკი, თამამშევი, სარაჯიშვილი, ფირალოვი, მირზოევი, ა. ქალანთარი, ვაწაძე და მაიერი; მესამეში; ნ. იაგ. არღუთინსკი, კაზაკოვი, კოგინი და სოსინი.

პრესსა

„ნოვ. ვრემია“-მაც აღამაღლა ხმა რუსეთში ბიუროკრატთა სიმრავლის წინააღმდეგ.

> ბიუროკრატიის გაძლიერება უეჭველად იწვევს ცენტრალიზაციასა და ადგილობრივ თვით-მმართველობის დაცემას; ორთავე ამ მოვლენას ჩვენში ადგილი აქვს ეს რამდენიმე საუკუნეა. ჯერ მოსკოვის სახელმწიფო იყო სრულიად ბიუროკრატული; ხოლო თვით-მმართველობას თან და თან სპობდნენ იმ მიზეზით, რომ სახელმწიფო უნდა გავაერთიანოთო; სპობდნენ იქაც-კი, სადაც თვით-მმართველობას ღრმად ჰქონდა ფესვები გამჯდარი ცხოვრებაში, როგორც მაგალითად კოზაკებში. პეტრე დიდის რეფორმებმა განამტკიცეს ბიუროკრატიზმის წეს-წყობილება და სრულიად აღმოფხვრეს თვით-მმართველობის წესები. მას შემდეგ რუსეთში თვვით-მმართველობამ მაგრად ფეხი ვერ მოიკიდა.
>
> ადვილი დასამტკიცებელიაო, განაგრძობს გაზეთი, რომ ბიუროკრატთა გამრავლებას საჭიროება არ მოითხოვს და ხელოვნურად ჰხდება.
>
> „რუსსკ. სტარინა“-ში მოთავსებულ დივოვის წერილებიდან სჩანს, რომ ეკატერინე მეორის დროს გარეშე საქმეთა სამინისტროში (მაშინ კოლეგია ეთქვა) წლის განმავლობაში იწერებოდა მხოლოდ 600 ქაღალდი. ახლა სამინისტროში იწერება 40-ჯერ მეტი, თუმცა ერთა შორის ურთიერთობას მას შემდეგ ამდენად არ უმატია. პირიქით სადიპლომატო მიწერ-მოწერა ახლა კიდეც შემცირდა. მაშინ მარტო გერმანიაში იყო 200-ზე მეტი დამოუკიდებელი სახელმწიფო, რომლებთან განსაკუთრებული დიპლომატიური ურთიერთობა იყო.

მართალიაო—სწერს სუვორინის გაზეთი—საზღვარ-გარედაც იმატა მოხელეთა რიცხვმა, მაგრამ იქ, სამაგიეროდ, სასარგებლო დაწესებულებათაც იმატეს, რომლებისათვის ბუნებრივად შეიქმნა საჭირო მოხელეთა რიცხვის მომატება. რუსეთში-კი მოხელეთა რიცხვის გამრავლებასა და დაწესებულებათა ზრდას შორის კავშირი არ არსებობსო. რუსეთში, მაგალითად, არსებობს მთელი სამინისტრო სახელმწიფო კონტროლისა, არსებობს კონტროლი საზღვარ-გარედაც, მაგრამ აბა შეადარეთ და ჰნახეთ, რა განსხვავებაა:

> ინგლისსა, იტალიასა და შეერთებულ შტატებში სრულიადაც არ არის ცენტრალი საკონტროლო დაწესებულება, მხოლოდ ადგილობრივ არსებობენ მოხელე-კონტროლერები; სხვა სახელმწიფოებში საკონტროლო უწყების შენახვა ჰღირს: პრუსიაში—ნახევარ მილიონ მანეთამდე, ავსტრო-ჰუნგრეთში—800 ათას მანეთამდე, საფრანგეთში—570 ათასამდე და სხვა. რუსეთში-კი მარტო ცენტრალი-საკონტროლო დაწესებულებათა შენახვა უჯდება სახელმწიფოს ერთ მილიონ მანეთად; იმასაც ნუ დაივიწყებთ, რომ სასახლის სამინისტროს და სინოდის უწყებას თავისი საკუთარი კონტროლი აქვს დაწესებული. მაგრამ ესეც ცოტა მიგვაჩნია და ამ ჟამად სახელმწიფო საბჭოს განსახილველად აქვს წარდგენილი ახალი, გაცილებით უფრო მომატებული, შტატები სახელმწიფო კონტროლისა!

გაზეთი სამართლიანად ამტკიცებს შემდეგ, რომ არც მრეწველობისა და მეურნეობის განვითარებისათვის, არც ხალხის გონებით აღზრდისათვის საჭირო არ არის ბიუროკრატიზმის გაძლიერება, რომ ყველა ამას თვით-მმართველობა უფრო კარგად გაუძღვებაო. ყოველივე ეს დიდი ხნის ჭეშმარიტებაა, ვიტყვით ჩვენის მხრით, და თუ აქ გავიმეორეთ მხოლოდ იმიტომ რომ ღირს-შესანიშნავად, მიგვაჩნია, როდესაც ამაებს „ნოვ. ვრემია“ ამბობს.

თეატრი

ხვალ, 26 დეკემბერს, ქართულ თეატრში წარმოადგენენ დიუმას ცნობილ პიესას „მარგარიტა გოტიე“-ს. ამ წარმოდგენაში პირველად წელს მონაწილეობას იღებს ნიჭიერი მსახიობი ეფემია მესხის ასული.

კონცერტი. „წ. კ. გამ. საზოგადოების“ სასარგებლოდ, როგორც მკითხველებმა იციან, გამართა 21 დეკემბერს, „საარტისტო საზოგადოების“ დარბაზში. პროგრამა კონცერტისა საინტერესოდ იყო შედგენილი; სხვათა შორის მოქცეათ შიგ ქართული სიმღერები. ქ-ნმა ბაბაიანმა, მაგალითად, კარგად შეასრულა „ორთავ თვალის სინათლევ“ და „თავო ჩემო ბედი არ გიწერია“. ეს უკანასკნელი, სამწუხაროდ, დამახინჯებულად არის გადაღებული; განსაკუთრებით აკომპანიმენტის ჰარმონია მოკლებულია აღმოსავლეთის მუსიკის სულსა და ხასიათს, იგი ევროპიულის სიმღერების ელ-ფერით არის შემოსილი. ესვე უნდა ითქვას ბ-ნ ფალიაშვილის ხორის მიერ შესრულებულ ზოგიერთ სიმღერაზე. ევროპეიზმის შთაბეჭდილებას ატარებდა ხორის საერთო დიქცია. უფრო კარგი იყო „გოგონა“ და „საზანდარი“, მოხერხებულად შედგენილი ბ-ნ ყარაშვილის მიერ. ეს სიმღერა ხალხური მუსიკაა და არ შეგვიძლია არ აღვნიშნოთ, რომ განცხადებასა და პროგრამაში ავტორი არ იყო მოხსენებული. ბ-ნი ბროძკი, როგორც ყოველთვის, კარგად მღეროდა, მხოლოდ გადაჭარბებული გრძნობიერება ეტყობოდა. დიდის ცოდნით და გემოთი შეასრულეს გიდ-შაუმ ვენიავსკის „პოლონეზი“ და პოლივკამ—Vita პაპპერისა, აგრეთვე ნიკოლაევმა—„მაზურკა“ და „ბალადა“ შოპენისა. ნიკოლაევის სანაქებო თვისებას უნაკლულო ტეხნიკა და კეთილშობილური გადმოცემა შეადგენს. რაც შეეხება აკაკი წერეთელს, საზოგადოების აღტაცებას დასასრული არა ჰქონდა იმის დანახვაზე. პატივცემულმა პოეტმა რამდენიმე ლექსი წაიკითხა. მეაკომპანიმენტებად იყვნენ ქ-ნი აიზენშტატი და ბ-ნი კესნერი; ეს უკანასკნელი პიანინოს გამოცდილი დამკვრელია.

საზოგადოდ კონცერტმა კარგად ჩაიარა.

პარასკევს, 27 დეკემბერს, ავჭალის სახალხო თეატრში სცენის მოყვარენი წარმოადგენენ ან. ფურცელაძის 5 მოქმედებიან დრამას „ავაზაკებს“.

ნ ა. ნეკრასოვი

27 დეკემბრისათვის რუსეთის მწერლობა სადღესასწაულოდ ემზადება. ამ დღეს სწორედ ოცდა ხუთი წელიწადი სრულდება, რაც პოეტი ნეკრასოვი გარდაიცვალა. ნეკრასოვი დიდ პოეტად ითვლება, იგი რუსეთის პირველ ხარისხოვან მწერალთა რიცხვშია მოქცეული, ამიტომ იმის ხსოვნის პატივსაცემად გამართულს დღესასწაულს, რაღა თქმა უნდა, შესაფერად გადაიხდიან.

ნიკოლოოზ ნეკრასოვი დაიბადა 1821 წელს პოლტავის გუბერნიაში, სადაც იმისი მამა სამხედრო სამსახურში იყო. სიყმაწვილე პოეტმა გაატარა სამშობლო სოფელს გრეშნევოში, იაროსლავის გუბერნიაში. მამამ ადრე გაანება თავი სამხედრო სამსახურს, მიიღო „ისპრავნიკობა“ და თავის მამულში დასახლდა. ეს მამული სანუკარს ბევრს ვერას წარმოადგენდა, პოეტის პაპა დიდად ხელ-გაშლილი კაცი გახლდათ, გულით უყვარდა ბანქოს თამაში და როცა ამა წუთი-სოფელს გამოესალმა, შვილს, ე. ი. პოეტის მამას, თვალსაჩინო ვერაფერი დაუტოვა. სიყმაწვილეში ნეკრასოვს სიმწარის მეტი არა უნახავს რა. მამა ძველ მებატონეთა ზნე ხასიათის კაცი იყო, უყვარდა თვით-ნებობა და ოჯახში მტარვალობა. ნეკრასოვს 13 და და ძმა ჰყვანდა და ამდენ წვრილ ფეხობის ერთად-ერთ ნათელ სხივს დედის მოსიყვარულე გული შეადგინა. დედას პოეტი ყოველთვის მოწიწებით იხსენიებდა. რუსეთის ლიტერატურაში არც ერთს მწერალს დედაკაცი ისე არ შეუქია და აუმაღლებია, როგორც ნეკრასოვმა აამაღლა. ეს-კი შედეგი იყო მშობლის მიმართ ძლიერის სიყვარულისა.

11 წლის ნეკრასოვი გიმნაზიაში მიაბარეს. მაგრამ დიდ ხანს არ დარჩენილა იქ. იაროსლავის გიმნაზიის მთავრობა პოეტების თაყვანის მცემელი არ იყო, ამიტომ ერთ დღეს, როდესაც შეამჩნიეს, რომ მეხუთე კლასის მოსწავლე ნეკრასოვი რაღაც საოხუნჯო ლექსებსა სწერდა პატივცემულ პედაგოგთა შესახებ, ახალგაზრდა პოეტი გამოაბძანეს სასწავლებლიდან. მამას მაგდენად არცა სწყენია ეს ამბავი. იგი უფრო სამხედრო სამსახურისთვის ამზადებდა შვილს, და, აი, 1839 წელს 17 წლის ნეკრასოვი პეტერბურგს გაემართა თავად აზნაურთა რაზმში შესასვლელად.

ნეკრასოვმა იმედი არ გაუმართლა მამას. საკმაო იყო სტუდენტების გაცნობა, იმათ წრეში შესვლა, რომ პოეტს სამხედრო სამსახურისთვის უნივერსიტეტი ერჩია. მამამ, გაიგო რა ეს ამბავი, წყევა-კრულვა გაუგზავნა შვილს და შეუთვალა, თვალით აღარ დამენახოო. ამ დღიდან იწყება შიმშილი და ათასი გაჭირვება ნეკრასოვისა. ახალგაზდა კაცმა უნივერსიტეტში შესასვლელად ეგზამენი ვერ დაიჭირა, ამიტომ თავისუფალ ყურის მგდებლად მიებარა. ვინ იცის, რა არ გამოსცადა ამ დროს ნეკრასოვმა! შიმშილი ყოველ დღე იმის კარ წინ იყო ატუზული. ათასში ერთხელ გაკვეთილებს, კორექტურას, ან სხვა რამ შემთხვევით სამუშაოს თუ იშოვნიდა ხოლმე. „სამის წლის განმავლობაში,—სწერს პოეტი,—თითქმის ყოველ დღე მშიერი ვიყავიო.“ როცა გაუჭირდებოდა, ერთ რესტორანში მიდიოდა, ვითომდა გაზეთების საკითხავად, ნამდვილად-კი იქვე სტოლიდან პურს იღებდა მალვით და ცოტად მაინც მოთხოვნილებას იკმაყოფილებდა. ამ ერთს მალე მეორე უბედურებაც ზედ დაატყდა. ერთ საღამოს ამხანაგთან იყო და როდესაც თავის ნოტიო და ბნელ ოთახში დაბრუნდა, სადგომის პატრონმა, სალდათმა, კარი არც-კი გაუღო და შიგნიდან დაუძახა, მიბრძანდი, სადაც გენებოსო. შემოდგომის სუსხიანი, ცივი ღამე იყო. დაძმარებული ჭაბუკი ერთ კიბეზე ჩამოჯდა. საბედნიეროდ, გულ-შემატკივარმა მთხოვარამ გამოიარა და მტირალი პოეტი ერთ ბინძურ, მათხოვარებითვე სავსე, სარდაფში წაიყვანა.

აი ასეთი გაჭირვებული დღეები გამოსცადა პოეტმა. მაგრამ ნეკრასოვი მაგარისა და მტკიცე ხასიათის კაცი იყო, ენერგიით აღსავსე. იგი არავითარ საქმეს არ ერიდებოდა, სწერდა ვოდევილებს თეატრებისთვის, ზღაპრებსა და მოთხრობებს იაფ-ფასიან გამოცემათათვის. მალე დაუახლოვდა ორიოდე ჟურნალ გაზეთს, სადაც ათავსებდა წვრილ რეცენზიებს, თარგმანებს, ასწორებდა კორექტურას. 1840 წელს პოეტმა გამოსცა პირველი კრებული თავის ლექსებისა. ნეკრასოვი მოუთმენლად მოელოდდა კრიტიკის აზრს. აქა-იქ შეაქეს კიდეც. მაგრამ როდესაც ბელინსკიმ მიწასთან გაასწორა კრებული, პოეტმა ყურები ჩამოჰყარა.

არ გასულა დიდი დრო, რომ ნეკრასოვი თვით ბელინსკისა და იმის წრესაც დაუახლოვდა. ბელინსკის შემდეგში ძალიან შეუყვარდა ახალგაზრდა პოეტი. კრიტიკოსი მიჰხვდა, რა ნიჭის პატრონიც იყო ნეკრასოვი. თვით ეს ნიჭი ამ დროს იშლებოდა და ფართოვდებოდა. იგი უკვე მტკიცე კვალს დაადგა. ბატონ-ყმობა — აი, რა შეადგენდა ნეკრასოვის მუზის მთავარ ძარღვს.

1847 წლის მიწურულში ნეკრასოვმა პანაევთან ერთად შეიძინა ჟურნალი „სოვრემენიკი“. ცუდი დრო იყო ეს დრო. რეაქცია ის იყო ბატონობას იწყებდა. ასე გასინჯეთ, რედაქტორის შოვნაც კი გაუჭირდათ. არ დაამტკიცეს არც პანაევი, არც ნეკრასოვი. ბელინსკის დასახელება ხომ სულ არ შეიძლებოდა. ბოლოს იშოვნეს ვიღაც ნიკიტენკო და შეუდგნენ მუშაობას. მაგრამ იგივე რეაქცია ყოველ წუთს ხელ-ფეხს უკრავდა. 1848 წელს ჟურნალის დედა-ბოძი ბელინსკი გადაიცვალა. ბელინსკის ნეკროლოგი სადღაც ბოლოში, ნარევში, წვრილის ასოებით იყო მოთავსებული. საქმე იმ ზომამდე გამწვავდა, რომ 1848 წელს ჟურნალისათვის დამზადებულ ექვს მოთხრობიდან არც ერთი არ გაუშვეს. მშიშარა ნიკიტენკომ მალე მიანება ჟურნალს თავი. პანაევი და ნეკრასოვი დაიბარა ჟანდარმთა შეფმა და გამოუცხადა, „თუ ჟურნალი წინანდელ მიმართულებაზე ივლის, ცუდი დღე დაგადგებათო.“ აი, ამიტომ შეუდგა ნეკრასოვი მკვლელობებითა და სახიფათო თავ-გადასავლებით სავსე რომანების ბეჭდვას. ან კი რა ექმნა!..

მუშაობამ მოსტეხა ნეკრასოვი. იმისმა გაჭირვება გამოვლილმა სხეულმა ველარ შესძლო დღე-ღამის გასწორება. ისე მძიმედ გახდა ავად, რომ საზღვარ-გარეთ წასვლა შეიქმნა საჭირო.

ასე უფერულად განვლო რეაქციის დღეებმა. მაგრამ მოახლოვდა ბატონ-ყმობის გადავარდნის დროც. ახმაურდა მთელი რუსეთი, გაცოცხლდა, გამოირკვა მწერლობა და ნეკრასოვის ნიჭიც მთელის თავის სიგრძე-სიგანით გაიშალა. სწორედ ნეკრასოვის ჟურნალიდან და ბელინსკის მიერ შექმნილ წრიდან გაისმა თუმცა სუსტი და გაუბედავი, მაგრამ პირველი პროტესტი ბატონ-ყმობის წინააღმდეგ. ამ დროს დაიბეჭდა „Деревня“ გრიგოროვიჩისა და „Записки Охотника“ ტურგენევისა. ამ დროსვე იბეჭდებოდა პოემები და ლექსები ნეკრასოვისა, რომელმაც ყველაზე მკაფიოდ, ყველაზე ნათლად გამოსთქვა მისწრაფება და სურვილი მოწინავე საზოგადოებისა. რასაკვირველია, იმის ნაწარმოების შინაარს იგივ დახშულ-ჩამობნელებული ცხოვრება შეადგენდა, იგივ ბატონ-ყმობა... სწორედ ამიტომ დაიმსახურა „სამოქალაქო პოეტის“ სახელი. ნეკრასოვის ლექსი და პოემა მწარე კვნესა იყო კეთილ-შობილ გულისა, რომელიც ჰგრძნობდა და ჰხედავდა გაბატონებულ უსამართლობას, ძალმომრეობას, დაჩაგრულთა ტანჯვას. „სოვრემენიკ“-შივე დაიწყეს წერა დობროლიუბოვმა და ჩერნიშევსკიმ. სამწუხაროდ, ჟურნალი მალე აღკრძალეს.

დან გაჩენილა ცეცხლი, რომელმაც ერთიანად იმსხვერპლა ყარიბოვის სახლი. ცეცხლის მქრობელმა რაზმმა მთელი ღონე მეზობლის მარკოვის სახლს მოანდომა და გადაარჩინეს კიდეც, თუმცა ცოტა აქაც დაიწვა და უფრო მეტი ზარალი ამ სახლში დიდ-ძალ მდგმურებს მიეცათ, რადგან ცეცხლის გაჩენისას იწყეს აქედან ავეჯის გადმოყრა.

◆ გუშინ, 23 დეკემბერს, დუშეთის მაზრიდან დაბრუნდა ტფილისის ოლქის სასამართლოს სესია.

◆ 18 დეკემბერს, გათენებისას, შულავერის გზაზე მიდიოდა თურმე ორი მეფურგუნე, ამირგულაშვილი და შიკურგიშვილი, რომელთაც სოღანლუღის მახლობლად დახვედრია ორი შეიარაღებული ბოროტ-მოქმედი და წაურთმევიათ 8 მანეთი და ნივთები. ბოროტ-მოქმედნი ამით არ დაკმაყოფილებულან, შესულან ფურგუნში, სადაც იჯდა თურმე დედაბერი წყაროს მცხოვრები მარიამ აკიმოვისა. ბოროტ განმზრახველთ გაუუპატიურებიათ ქალი და მერე ნივთები წაურთმევიათ: ეს ამბავი შეუტყობინებიათ ბოქაულის გუგუშვილისათვის, რომლის მიერ გაგზავნილ დარაჯებს ბოროტ-მოქმედნი დაუჭერიათ. ორივენი ბორჩალოს მაზრის მცხოვრებნი ყოფილან— იზმაილ-ნამაზ-ოღლი და უმბეთ-იბრაჰიმ-ხალილ-ოღლი.

◆ 15 დეკემბერს თიანეთის მაზრის მცხოვრებთ დოღოხ ზუმთაურს, იმის შვილსა და მეზობელს მაჭხმელ ბადურგაულს მოუპარავთ მანკოსის ხეობაში 8 ცხენი და მიუწადინიათ შორს სადმე გაეგანა გასასყიდად. გზაზე, ანდაკის თავში, თოვლის ისეთი კორიანტელი ამოვარდნილა, რომ ზუმთაურები, მამა და შვილი, და 5 ცხენი ჩაუხჩვია, ხოლო ბადურგაულს ძლივს მიუღწევია სახლამდე.

◆ თიანეთის მაზრიდან გვატყობინებენ: დიდსოფლის მცხოვრებთ დაბაზ ბეროშვილს და სხვა იმის მეზობლებს მტრობა ჰქონიათ სოფ. ფშარეულის მცხოვრებთ ბადრიძესა, გულბიტაშვილსა და ბერიაშვილთან. ამ უკანასკნელთ ბეროშვილი მეზობლებით დახვედრია გზაზე, მოსვლიათ ჩხუბი, რომლის დროსაც მძიმედ დაუჭრიათ ხანჯლებით გულბიტაშვილი, ბადრიძე და ბერიაშვილი.

რუსეთის ქრონიკა

◆ სამეცნიერო კომიტეტმა ამას წინად გადასინჯა სია ამ ჟურნალ-გაზეთებისა, რომელთა დაბარებაც შეუძლიანთ სახალხო წიგნთ-საცავ-სამკითხველოებს. დღემდე ძალიან შეზღუდული იყო ამ მხრივ უფლება სამკითხველოებისა. სულ სამი ოთხი გაზეთის გამოწერა შეიძლებოდა. წინანდელი სია 1896 წელს იყო შედგენილი, მას აქეთ-კი ბევრი გაზეთი მოისპო, ამიტომ თავის თავადაც შემცირდა რიცხვი ნება-დართულ ჟურნალ-გაზეთებისა. სამეცნიერო კომიტეტს ეხლა ნება დაურთავს, სამკითხველოებმა შემდეგი გამოცემანი იქონიონ: 1) გაზეთები და ჟურნალები სასულიერო შინაარსისა; 2) გაზეთები და ჟურნალები, რომელსაც მთავრობის დაწესებულებანი ჰბეჭდავენ; 3) სპეციალური გამოცემანი, რომელთაც საპოლიტიკო და სალიტერატურო განყოფილება არა აქვთ. ადგილობრივ გამოცემათა შესახებ კომიტეტს წინანდელი წესი დაუტოვებია. ამ წესის ძალით ამა თუ იმ ჟურნალ-გაზეთის დაბარების ნება წიგნთ-საცავს უნდა დართონ სამოსწავლო ოლქის მზრუნველმა, ადგილობრივმა გუბერნატორმა და ეპისკოპოსმა.

◆ როგორც ვუწყით, რკინის გზებზე ეგრედ წოდებული „საჩივრების წიგნებია“. ეხლა ხან სამინისტროს განუხილავს, მნიშვნელობა რამე აქვს თუ არა ამ წიგნებს. სამინისტროს აზრით, თუმცა ბევრ უსაფუძვლო საჩივრებს (?) ათავსებენ წიგნებში, მაგრამ მნიშვნელობა მაინცა აქვს. ყველაზე მეტად მგზავრები უჩივიან ბილეთების კასსების გვიან გაღებას, შემდეგ ვაგონების უსუფთაობას და სხვას. მინისტრის ბრძანებით, გზის უფროსებს დაევალათ ყურადღება მიაქციონ ყველა ამ უწესოებას.

◆ მომავალ წლის 2 იანვარს რუსეთის ჟურნალ-გაზეთობა 200 წლის იუბილეის დღესასწაულობს. მოსკოვის საიუბილეო კომიტეტს გადაუწყვეტია სთხოვოს ჟურნალ-გაზეთების გამომცემელთა და რედაქტორებს გაანთავისუფლონ ამ დღეს მუშაობისაგან თანამშრომელნი და სხვა მოსამსახურენი, რათა შეეძლოთ იუბილეიში მონაწილეობის მიღება.

პრესსა

ამ ჟამად სასოფლო-სამეურნეო მრეწველობის საჭიროებათა სამაზრო კომიტეტები თითქმის ყველგან რუსეთში ათავებენ თავიანთ მუშაობას და სამაგიეროდ ამოძრავდნენ საგუბერნიო კომიტეტები. როგორც მკითხველთ ეხსომება, მათ 1-ლ თებერვლამდე უნდა დაასრულონ თავიანთი მუშაობა და საგანგებო საბჭოს წარუდგინონ იმ დროსთვის თავისი მოსაზრებანი. გაზეთები ერთხმად ამბობენ, რომ სამაზრო კომიტეტებმა დიდ-ძალი და ბევრის მხრით საინტერესო მასალა მოაგროვეს. ყოველივე ეს ახლა საგუბერნიო კომიტეტებს გადაეცა. მათი მოქმედების შესახებ, სხვათა შორის, გაზეთი „ნოვ. დელო“ ამბობს:

> საგუბერნიო კომიტეტების როლი იმით-კი არ განსხვავდება სამაზრო კომიტეტების როლისაგან, რომ ვითომც ისინი წარმოადგენდნენ უმაღლეს ინსტანციას სამაზრო კომიტეტებთან შედარებით; არა: აქ ინსტანციები არ არის, არამედ ორთავეს საკუთარი და დამოუკიდებელი მნიშვნელობა და როლი აქვთ. განსხვავება მათ შორის იმით გამოიხატება, რომ საგუბერნიო კომიტეტისა და სამაზროს მდგომარეობა ფაქტიურად სხვა და სხვაა. მაშინ როდესაც სამაზრო კომიტეტებს საქმე თავიდან უნდა დაეწყოთ, აღეძრათ თავდაპირველი საგნები,—საგუბერნიო კომიტეტებს უკვე აქვთ ხელში მრავალი დამზადებული მასალა; მათ შეუძლიათ ახლა წეს-რიგში მოიყვანონ ეს მასალა, დაუმატონ, თუ რამ აქვთ დასამატებელი, ან თავიანთი დასკვნა გამოთქვან ამა თუ იმ საკითხის გამო. ეს თუმცა ძნელი საქმეა, მაგრამ არა იმდენად, რამდენად სამაზრო კომიტეტის საქმე იყო, რომელსაც მასალაც უნდა ეგროვებინა, სისტემაშიაც უნდა მოეყვანა ის და საკუთარი აზრიც გამოეთქვა ყველა აღძრულ საგნის შესახებ. საგუბერნიო კომიტეტს, როგორც სამაზროებსაც, არაფრის გადაწყვეტის ნება არა აქვს; ამიტომ იმის საქმე არ არის სამაზრო კომიტეტის ნამოქმედარი კრიტიკულად გასინჯოს, ერთი უკუაგდოს, მეორე—მოიწონოს; ორივენი მხოლოდ მრჩეველნი არიან უმთავრესის საბჭოსი და ორივეს აზრი უნდა წარედგინოს სადაც ჯერ არს ამა თუ იმ საჭიროების შესახებ. თუ საგუბერნიო კომიტეტები სისტემაში მოიყვანენ სამაზროების ნამუშევარსა და თავიანთ აზრს დაუმატებენ, სოფლის მდგომარეობა უფრო ნათლად დასურათდება და საქმეც კარგად გამოირკვევა.

⁂

ბაქოს ქალაქის თავი ა. ი. ნოვიკოვი წინააღმდეგია იმ წესისა, რომლის ძალით ქალაქის თავი იმავე დროს საბჭოს თავმჯდომარეც არის. ბ. ნოვიკოვი სწერს „ბაკინსკი იზვ.“-ში:

> არ მესმის და, ალბათ, ამის ახსნაც ძნელია: რისთვის არის საჭირო, რომ ქალაქის თავი საბჭოს თავჯდომარეც იყოს?! ვისთვის ან რისთვის არის ეს სასარგებლო? მავნებლობა-კი ამგვარს წესს დიდი მოაქვს.
>
> ქალაქის თავის მთავარი მოვალეობა არის: იყოს გამგეობის თავმჯდომარედ. მას ეკუთვნის მთავარი ზედამხედველობა, რომ საბჭოს დადგენილებანი აღსრულებულ იქმნან, ის ჰმართავს კანცელარიას, ის აერთიანებს გამგეობის წევრთა მუშაობას. აი, ეს არის მისი მთავარი მოღვაწეობა და მოვალეობა. შემდეგ ის წარმომადგენელია ქალაქისა და, როგორც წარმომადგენელი, უნდა მიეგებოს წარჩინებულ სტუმართ ან უცხოელთ, უნდა ესწრებოდეს ქალაქის მხრით ყოველგვარ სადღესასწაულო ამბავს. ამასთანავე, როგორც დამცველი ქალაქის ინტერესებისა, ის წევრია სხვა და სხვა საკრებულოებისა.
>
> ამ მოვალეობათ საქალაქო დებულება უმატებს მესამეს: საბჭოს თავჯდომარეობას. ეს გარემოება-კი ამგვარს სურათს გვიხატავს: დგება ხმოსანი და იწყებს გამგეობის ან თვით ქალაქის თავის გაკიცხვას; მაგრამ სიტყვის წარმოთქმის ნება იმავე ქალაქის თავს უნდა სთხოვოს: მომეცით ნება გაგლანძღოთო. სამართლიანია თუ უსამართლო ხმოსნის საყვედური, ქალაქის თავი მოვალეა მშვიდობიანად და დაწყნარებით იყოს, რადგან ის თავმჯდომარეა. საბჭო კრიტიკის ქარ-ცეცხლში ატარებს გამგეობას, ხშირად მწარე სიმართლეს ეუბნება, ხშირად უსაფუძვლოდ ლანძღავს გამგეობის წევრთ, ქალაქის თავი-კი იძულებულია სდუმდეს. რისთვის არის ეს საჭირო? განა უმჯობესი არ იქნებოდა ისე მოწყობილიყო საქმე, როგორც საერობო კრებებია: თავმჯდომარეობს კრების წევრი, გამგეობა-კი თავისთვის ცალკე არის და როდესაც საჭიროა, პასუხს იძლევა.

ასეთი წესი ქალაქის თავს ააშორებდა უხერხულ მდგომარეობასა და საქმისათვისაც სასარგებლო იქმნებოდა.

თეატრი

ქართული წარმოდგენა. მშვენიერ სურათს წარმოადგენდა ქართული თეატრი კვირა დილით, 22 დეკემბერს. დარბაზი სავსე იყო მოსწავლე ახალგაზდობით. ამ დღეს ქართულმა დრამატიულმა დასმა წარმოადგინა გოგოლის კომედია „რევიზორი“. მთელი ოთხი საათი დარბაზში სიცილი არ შეწყვეტილა. არც მსახიობთ დაუკლიათ მეცადინეობა. წარმოდგენამ საზოგადოდ მწყობრად და კარგად ჩაიარა. გოროდნიჩის როლს ასრულებდა ბ-ნი აბაშიძე. როგორც იმან, ისე სხვებმა ბოლომდე კარგად ჩაატარეს თავიანთი როლები.

ფრანგთა ნათქვამი

ქართველთა შესახებ

(წერილი პარიზიდან)

„ცნობის ფურცლის“ საშუალებით არა ერთხელ გვქონია სიამოვნება მისს პატივცემულ მკითხველთათვის გაგვეზიარებინა თუ რამ დაბეჭდილა ჩვენს შესახებ ფრანგულ დრო გამოშვებით გამოცემებში. ამ ხელად მკითხველის ყურადღებას მივაქცევთ ორს წერილს, რომელნიც პარიზის ორს სხვა-დასხვა გაზეთში დაისტამბნენ და რომლებშიაც ავტორები თავიანთ თანამემამულეთ ჩვენის ქვეყნისა და ხალხის შესახებ ელაპარაკებიან.

პირველი მათგანი დაბეჭდილია გაზეთ „Gaulois“-ში (ამ წლის 15—16 გიორგობისთვის №) ამ სათაურით: Au loin (შორს).—მისს ავტორს კონტ ფილიპ დე როჰან-შაბოს (Comte Philippe de Rohan-Chabot) აზრადა აქვს აღწერა ქორწილისა სამეგრელოს ერთ-ერთ სოფელში. გზა-გზა აგვიწერს ჩვენებურის ბუნების სიდიადეს, ჩვენის ხალხის მიმზიდველ გარეგნობას, ტანისამოსის სიკოპწიავეს. გვიხასიათებს ხალხს, რომელსაც ცივილიზაცია ჯერ ნაკლებად მიჰკარებია და რომელსაც დღემდე თითქმის ხელუხლებლად დაუცავს წინაპართა ნაკლულევანება-ღირსებანი. როგორც მოსალოდნელი იყო, ფრანგ-ავტორს საიმისოდ არ მოსწონებია მეგრელთა თვისება სხვათა საკუთრების უპატივცემლობისა. ალბად, იმედი ჰქონდა, არ გამიწყრებიან სიმართლის თქმისათვისო და ასე ახასიათებს ჩვენთა თანამემამულეთ: ქურდობა ძვალ-რბილში აქვთ გამჯდარი, ეს ხელობა ღირსებად და ვაჟკაცობად მიაჩნიათო, და ვისაც ლამაზ ქალის გულის მოგება უნდა, მარჯვე ქურდის სახელიც უნდა ჰქონდესო; ცოლქმარნი ჰემბერნი აბა სამეგრელოში ეყოლებოდათ პატივშიო!.. არ ვიცით, მეგრელები სიამოვნებით მიიღებენ თუ არა ამ ქათინაურებს; გვგონია კი, რომ ცოტა არ იყოს, გადაჭარბებულად ეჩვენებათ და თუ ეწყინებათ, ის ეწყინებათ, რომ შინაური ამბავი გარედ გამოუმზევეს...

მეორე წერილი კი მანდილოსნის კალამს ეკუთვნის და დაბეჭდილია პარიზულ გაზეთშივე („La Fronde“ № 1674). ეს გაზეთი ქალების ორგანოდ ითვლება, მისი რედაქტორი და თანამშრომლები ქალები არიან და აზრადა აქვს დაიცვას საზოგადოდ ქალების ინტერესი. ავტორი ქ-ნი ანრიეტა დეკანოზიშვილისა (ფრანგია) მოკლედ აგვიწერს ჩვენის დედა-ქალაქის თავგადასავალს, აწმყო მდგომარეობას, მცხოვრებთა ჩაცმა-დახურვას და ბოლოს ფრანგის საზოგადოებას აცნობს ჩვენს შინაურ ცხოვრებასაც.

ქართველ ქალებშიო,—ბრძანებს ქ-ნი დეკანოზიშვილისა,—სამი კლასია: თავად-აზნაურთა, რომელთაც დიდად მოაქვსთ თავი თავიანთის გვარიშვილობით, ბურჟუაზიისა და ვაჭართა ცოლები და დასასრულ გლეხთა დედაკაცნი, რომელთა შორის წმინდად დაცულია ქართველთა რასის პირვანდელი ტიპი. პირველ ორ წოდების ქალები გიმნაზიებსა და ინსტიტუტებში სწავლობენ; გლეხთა ქალები სოფლის სკოლაში, თუ კი მოეძებნებათ ასეთი სკოლა სოფელში, ამიტომ რომ სკოლათა რიცხვი სოფლად ძალიან მცირეა აქეთკენ. მიუხედავად სკოლათა სიმცირისა, ქალებმა თითქმის ყველამ იციან წერა-კითხვა, იმ დროს როცა კაცებისა 5—10% თუ არის მწიგნობარი. ეს საკვირველი მოვლენა იმით აიხსნება, რომ ქართველნი მუდამ მეომარნი ან მხვნელ-მთესველნი იყვნენ; ვაჟები ადრიანად სტოვებდნენ ხოლმე კერას და მიდიოდნენ ან საომრად ან ყანაში, თავიანთ მამებს გვერდში უდგებოდნენ. ქალიშვილები კი თავიანთის დედის გვერდითა რჩებოდნენ და ესეც ასწავლიდა ყოველსავე, რაც თვითონ ესწავლა: ჭრა-კერვას, ქარგვას და წერა-კითხვას. გათხოვების დრო რომ დაუდგებოდათ, მზითევი თავის ხელითვე ჰქონდათ მომზადებული. არსებულ ჩვეულების თანახმად ყოველ პატარძალს მზითევში ატანდნენ ქართველთა საყვარელ პოეტის შოთა რუსთაველის პოემის ერთ ცალს; ამ პოემის რამდენიმე ტაეპი მაინც ზეპირად უნდა სცოდნოდათ. ეს ის პოეტია, რომელმაც ესდენ შეაქო სილამაზე და სიდიადე თამარ მეფისა, რომელიც დღესაც წმიდანად არის მიჩნეული ქართველების მიერ და მის პატივსაცემლად ქართველ ოჯახებში ხშირად არქმევენ ქალებს თამარის სახელს.

სოფლებში, სადაც სკოლები არის თუ არ არის, დღემდე დარჩენილა შემდეგი ჩვეულება. წერა-კითხვის მცოდნე ქალები სახელდახელო მასწავლებლად ხდებიან, თავიანთს სახლში მეზობლის გოგოებს თავს უყრიან, უსკამობისა გამო ძირსა სხამენ მუხლმოკეცით, ოსმალურ წესზე, და უსასყიდლოდ წიგნს ასწავლიან. ბიჭები კი ამავე დროს ყანაში მამებს გვერდში უდგანან ან ქალაქებში მოჯამაგირობენ. აქაურს ქალაქებში მოსამსახურეებად უფრო ბიჭებს იყენებენ.

ყველა ოჯახი, ღარიბია თუ მდიდარი, იმას ოცნებობს—შვილებს ასწავლოს; წელებზე ფეხს იდგამენ, ყველაფერს იკლებენ, ოღონდ შვილებს სწავლა მიაღებინონ და კაცად გამოიყვანონ. დიდს ხარჯსაც ეწევიან შვილების აღსაზრდელად, რადგან საქართველოში სწავლება უსასყიდლო არ არის, როგორც საფრანგეთში. გიმნაზიებში ტევა აღარ არის; უნივერსიტეტი სულ არ არის,

---

ვულიჩში,—თუმცა სახლის ქირას იმდენს იხდის, რამდენსაც ჩვეულებრივ იხდიან ლონდონის შუა გულ ადგილებში. დაუმატეთ ისიც, რომ აქაური სახლის დამქირავებელი იმავე დროს ისეთ საზოგადოების წევრად ჰხდება, რომელსაც სამაგალითო სკოლები, ბიბლიოთეკები, კოოპერაცია, იაფი საურთი-ერთო კრედიტი აქვს; უმთავრესი კიდევ ისაა, რომ თითონ დამქირავებელიცა და იმის სახლობის წევრებიც აქაურ საქალაქო თვით-მმართველობისაგანვე იშოვიან სამუშაოს, რადგანაც შენობების აგებას, ყოველ-ნაირ მასალის დამზადებას, ქუჩებისა, წყლის მილისა, გაზისა, ელექტრონის გაყვანას და ერთის სიტყვით ყოველ-ნაირ სამუშავოს თითონ ქალაქი აწარმოებს ქალაქის მუშებისა და კოოპერაციის წევრების ხელითა.

ახალი ქუჩები ჩვეულებრივის, თუმცა ლამაზისა და კარგად მოწყობილ სამუშე სახლებით (კოტეჯებით), როგორც ზევით მოგახსენეთ, მხოლოდ ახლად ნაყიდ მიწის რამდენსამე ნაჭერზეა გაყვანილი. დანარჩენ ნაყიდ მიწაზე, გადაწყვეტილია, „ქალაქი-ბაღი“ გააშენონ. ჩვეულებრივ ქუჩების გარდა, ხეხილის ბაღი იქმნება გაშენებული, შიგ დატანებული იქნება ბოსტნისა და ყვავილების კვლები და შუაში აქა იქ აშენდება ცალკე სახლები და სახელოსნოები, ისე, როგორც ზემოდ აწერილ სოფლებშია აშენებული. საქალაქო საბჭოში ეხლავე იმოდენა ხალხი ჩაეწერა და ამნაირ სახლებში ცხოვრება მოინდომა, რომ ქალაქს ამათთვის სამყოფ სახლების აშენება არც კი შეუძლიან; ქალაქს კიდევ მოუხდება ადგილების ყიდვა... მაგრამ აქ პატარა დაბრკოლება აღმოჩნდა.

რა წამს ქალაქი აყვავდა და გაიზარდა, ხელად კერძო სპეკულატორებიც გაჩნდნენ. ერთმა მათგანმა, შოტლანდიელმა კაპიტალისტმა, რაც ქალაქისაგან ნაყიდ მიწის გვერდზე ადგილები იყო, სულ შეისყიდა მებატონისაგან. კაპიტალისტმაც ქალაქივით დესეტინა 4,500 მანეთად იყიდა. წელიწადზე ცოტა მეტია, რაც ეს ადგილები იყიდა, და აი ეხლა ქალაქს 12 ათას მანეთს სთხოვს დესეტინაში! ქალაქიც იძულებულია ეს ფასი მისცეს—მიწა აუცილებლად საჭიროა იმისათვის. ასე რომ ეს სპეკულატორი ორ წელიწადში თითო დესეტინაზე 7,500 მანეთს მოგებას იღებს!—ეს „ღვთისნიერი“, „სინიდისიერი“, ქვეყნიური საქმეაო—ამბობენ სპეკულატორები. „ეს დაკანონებული ძარცვაა დღისით-მზისით!“—უპასუხებენ მშვიდობიანი მშრომელი ხალხი.

მაგრამ ჩარჩები სიხარულით ცას ეწევიან და თავ-მომწონეთ იღრიჯებიან „ეგ რა არის, უარესსაც ჰნახავთ“-ო!—ამბობენ ესენი და ამისთანა „კარგ ხეირიან საქმეების“ მოწყობას შეუდგნენ. ამ მტაცებლებმა ნამდვილი ლაშქრობა გამართეს საზოგადოების წინააღმდეგ. მაგრამ ამაზე ცალკე წერილს მოგწერთ.

ლონდონელი

უმახლოებელესი უნივერსიტეტი რუსეთისა ტფილისიდან ხუთის დღის სავალზეა.

ზოგიერთ ქართველ ქალთა, უფრო განათლებულის წრისათა, სხვებზე უფრო შეგნებულთა, ფრანგულის ენის მცოდნეთა, შეიგნეს მნიშვნელობა ქალთა სასარგებლოდ მოძრაობისა, შეიგნეს ისიცა, თუ რა არის დანიშნულება განათლებულის ქალისა.

ამ ქალთ ზურგი შეაქციეს მაღალ წრის ამაოებას, ჩაცმულობისა და მორთულობისათვის ზრუნვა კერპად არ გაიხადეს და შეუდგნენ საქმიანობას, სცდილობენ ყოვლის ღონისძიებით ხალხში განათლება გაავრცელონ. მიუხედავად მრავალგვარ დაბრკოლებათა, დააარსეს საკვირაო სკოლა, ჭრა-კერვის სკოლა, და ახლა საჭირო თანხას უყრიან თავს, რომ ქალებისათვის ახალი სასწავლებელი გახსნან. ერთი ამ ქალებთაგანი, ქ-ნი ან. წერეთლისა რედაქტორია ორის ქართულის ჟურნალისა: ერთია საყმაწვილო ყოველთვიური ჟურნალი, მშვენივრად წარმატებული და ბავშვების გონებისათვის შეფარდებული, სახელად „ჯეჯილი“ ჰქვიან, მეორეა „კვალი“, ძალიან გავრცელებული საზოგადოებაში.

ამ ქალებთან ლაპარაკი მქონდა და ყველას მეტად ეინტერესებათ რაც საფრანგეთში ხდება; შორიდან თვალ-ყური უდევნებიათ ქალთა კონგრესისათვის, და ილუზიისა და სიშორის წყალობით, ჩვენ, ფრანგის ქალები, მეტად დაწინაურებულები ვგონივართ, ჰგონიათ, რომ ჩვენ უფლება იმაზე მეტი შევიძინეთ, რასაც ნამდვილად მოკლებულნი ვართ. ბევრი რამ გამომკითხეს; საფრანგეთი მათის ოცნების საგანია, თავისუფლება და სიმართლე გამეფებულია ამ ქვეყანაშიო, და მათს სიხარულს საზღვარი არა აქვს, როცა ჩამოსული ფრანგის ქალი უამბობს პარიზის გონებრივისა და ამაღლებულის აზრების განსახორციელებლად მოძრაობის შესახებ, ამიტომ რომ აქ მათი უფლებანი მეტად შეზღუდულია, ახალ ამბების გაგებაც მეტად უძნელდებათ. **თ. ს.**

წერილი პირ-იქით თუშეთიდან

(ქურდობა ავაზაკობა და სხვა)

ძალიან აწუხებენ თუშ-მეცხვარეებს დიდოელი დეკები და ქისტები. თუშებს ერთის მხრიდან დიდოები საზღვრავენ და მეორე მხრიდან—ქისტები, რომელნიც დღე და ღამე მოსვენებას არ აძლევენ მცხოვრებთა და მწყემსებს. ამ ზაფხულს აქედან მოიპარეს ქისტებმა და დიდოელებმა 37 ცხენი, 45 მსხვილ-ფეხა საქონელი და 276 ცხვარი. უკანვე დაიბრუნეს მცხოვრებთ მხოლოდ 15 ცხენი, 12 მსხვილ-ფეხა საქონელს, 83 ცხვარი. მაგრამ რა გამოვიდა, ერთი-ორად ახდევინებდნენ დაბრუნებულ საქონელში. მთელი ზაფხული ისე ღამე არ წაივლიდა, რომ მდევარი არ გასულიყო კვლების შესაკვრელად. სისხლიც ბევრი დაიღვარა; მაგრამ დიდოები და ქისტები ქურდობას მაინც არ იშლიან. ამ ზაფხულს ერთ სოფელში ქისტებმა ცხვარი დაიტაცეს. გაჰყვა მდევარი, მოკლეთ გზა მოუჭრა და შეიპყრო სამი ქისტი, რომელთაც მიუდიოდათ ოცდა-ათი ცხვარი. ამათგან ერთი მოჰკლეს და ორი ცოცხალი დაიჭირეს. ეს ორი ქისტი მეორე დღესვე მაზრის უფროსს გადასცეს. არ გასულა ათი დღე, რომ დაჭერილი ქისტები უკვე თუშეთშივე მოვიდნენ. რაღა თქმა უნდა, ამის შემდეგ ქურდი და ავაზაკი უფრო წათამამდება. 18 ივლისს სოფ. ფარსმაში მღვდელს დასტაცეს ქურდებმა ცხენები; მიჰყვნენ ფეხ-დაფეხ, მიიტანეს კვალი ქისტების სოფელში. მივიდნენ, გამოუცხადეს სოფლის მოხელეს და ქურდებზედაც ხელი მიუთითეს, ესენი არიან ჩვენი ქურდებიო. მოხელემ ყურადღება არ მიაქცია; ერთი კი უთხრა, მე არა ვიცი-რა; წადით და იჩივლეთო. ამათაც მიუმართავთ მაზრის უფროსისათვის, მაგრამ იმასაც იგივე პასუხი მიუცია.

თუშები წელიწადში მხოლოდ ზაფხულის სამ თვეს მოდიან შინ, რომ ცოლ-შვილში გაატარონ დრო და მაშინაც ყაჩაღებისა და ქურდების დევნას უნდებიან. ქურდების დევნას უნდა მოუნდნენ, თუ ცხოვრებისთვის იზრუნონ!.. მთელი თავისი სიცოცხლე თუშები ცხვარს და ცხენს მისდევენ. იმითი ასაზრდოვებენ ცოლ-შვილს და იმათი იხდიან ყველა გადასახადს და ხარჯს, მაგრამ იმასაც ყაჩაღები და ქურდები სტაცებენ.

დაბა-სოფლები

სუფსა (გურია). ჭაურით ჩვენი სოფელი გერ არის ნაქები. ამისი მიზეზი დამდგარი წყლებია. ძლიერ გავრცელებულია განსაკუთრებით ციებ-ცხელება. მცხოვრებნი ძლიერ შეწუხებულნი არიან, მით უმეტეს, რომ ექიმი აქ სრულებით არ მოიპოვება.

აქ არსებობს ერთ-კლასიანი სამინისტრო სკოლა, რომელიც იმყოფება დაქირავებულს შენობაში საკუთარ შენობის უქონლობის გამო; ეს შენობა ძლიერ ვიწროა.

ამ ჟამად სასწავლებელში იმყოფება 68 მოწაფე; იმათ შორის 17 ქალია, დანარჩენი ვაჟები არიან. აზრადა აქვთ ამ სკოლის ორკლასიანად გადაკეთება. 5 დეკემბერს ადგილობრივ მამასახლისს დემეტრაძესთან აქაურ საზოგადოებას კრება ჰქონდა; დაადგინეს ორი განაჩენი: ერთი ერთკლასიან სკოლის ორკლასიანად გადაკეთებისა და მეორე—ქალების ერთკლასიან სკოლის დაარსების შესახებ.

—

ალაგირი (თერგის ოლქი). ქართულ სამრევლო სკოლის დარბაზში ყოველ კვირაობით იმართება სალიტერატურო საღამოები; აჩვენებენ ხოლმე აგრეთვე ბუსდოვან სურათებს. ფარანი თვით სკოლასა აქვს, ხოლო სურათებს უგზავნის კავკავის სკოლის მასწავლებელი ბ-ნი ბოცვაძე. საღამოებს ბლომად ესწრებიან როგორც ქართველები, ისე ოსები და რუსები. მასწავლებელი სამს ენაზე უხსნის დამსწრეთ სურათებს. ყველანი ძლიერ ნასიამოვნები ბრუნდებიან შინ.

დეპეშა

(რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან)

23 დეკემბერი

პეტერბურგი. გარეშე საქმეთა მინისტრი შეუდგა თანამდებობის ასრულებას. გარდაიცვალა საიმპერატორო თეატრის არტისტი საზონოვი.

ლაგუაირი. გერმანიის ჯარმა დაიჭირა პუერტო-კაბელლოს დამოენა. წინააღმდეგობა არავის გაუწევია.

ლაგუაირი. დაითხოვეს სანაპიროს დარაჯები. ამბობენ, ორშაბათს დამოენას დაჰკეტავენო. ხალხი ასობით უადგილოთ დარჩა. ეშინიანთ, არეულობა არ მოხდეს. ინგლისის გემის უფროსმა აცნობა პრეფექტს, რომ პასუხის მგებელი ის იქნება, თუ ინგლისისა, გერმანიისა და იტალიის ქვეშევრდომთ რამე შეემთხვათ.

სოფია. საერო კრებამ, 1903 წლის ბიუჯეტის მიღების შემდეგ, გადასდო კრება 10 იანვრისათვის. შემოსავალს მოელიან 98,017,100 ფრანკს, ხარჯს—97,753,910 ფრანკს. სამხედრო სამინისტროს ბიუჯეტი უკამათოდ მიიღო კრებამ, თუმცა წელს სამის მილიონით მეტია გადადებული.

სოფია. 23 დეკემბრისათვის აქ სადღესასწაულოდ ემზადებიან, უნდა იდღესასწაულონ რუსეთის ჯარის მიერ ბოლგარიის განთავისუფლებიდან 25 წლის შესრულება. მაკედონიაში კიდევ არეულობანია, განსაკუთრებით კასტურსკისა და დმეიგასარსკის კაზებში; დეუმაის კაზშიც წესიერება არ აღდგენილა.

პარიზი. სენატის პირველ რიგის წევრთა არჩევნების შედეგი: ხელ-მეორედ აარჩიეს 7 კონსერვატორი, 18 პროგრესისტი (1 ახალია), 8 რესპუბლიკანელი (7 ახალია), 20 რადიკალი (6 ახალია) და 5 რადიკალ-სოციალისტი. უნდა აარჩიონ კიდევ 23. მეორე რიგის წევრთა არჩევნების შედეგი: 23 ადგილას 20 საბოლოოდ აირჩიეს; რესპუბლიკანელი, პროგრესისტი და ლიბერალი 2-ია (ახალი 3), რესპუბლიკანელი—3, რადიკალი 2 (ახალი 6), რადიკალ სოციალისტი 2 (ახალი 2). უნდა სამი კიდევ აარჩიონ.

პეტერბურგი. გუბერნიის საერობო კრებამ დაადგინა დარბაზში, განსაკუთრებულ ფიცარზე ამოეჭრათ ხელმწიფე იმპერატორის სიტყვები, თქმული 29 აგვისტოს კურსკის ერობის წარმომადგენელთა მიმართ.

ვენა. ნამდვილ წყაროდან იუწყებიან, რომ რუსეთის საელჩოს მდივანი კონსტანტინეპოლში შჩერბატსკი არ ყოფილა დაბარებული ვენაში; იმას მონაწილეობა არ მიუღია ლამსდორფისა, კაპნისტისა და გოლუხოვსკისთან ერთად თათბირში, რომელიც მოხდა მაკედონიის საქმეების გამო.

პარიზი. სენატორებად აარჩიეს კომბი და ფინანსთა მინისტრი რუვიე.

მადრიდი. მაროკოს სულთანი ჯერ ისევ ფეცშია, რომელსაც ალყა აქვს შემორტყმული. ბრძოლას ყოველ წუთს მოელიან.

პრეტორია. მოვიდა ჩემბერლენი. დიდძალი ხალხი ალტაცებით დაუხვდა.

ლონდონი. ბერტი ელჩად დაინიშნა რომში.

ნიუ-იორკი. იმ გემებმა, რომელთაც ალყა შემოარტყეს პუერტო-კაბელლოს, ვენეცუელის გემები ნავთ-სადგურიდან გაიყვანეს. ამ საქმემ ისე ჩაიარა, რომ სროლა არ მომხდარა. ვენეცუელის გემი „ცუმბადორი“ 40 გემს პორტ-ოფ-სპენში წაიყვანს. ამ გემებზე ჰნახეს 30,000 დოლლარი.

რედაქტორ-გამომცემელი ალ. ჯაბადარი

გამოსადეგი ცნობანი

მიმოსვლა რკინის გზის მატარებლებისა

15 ოქტომბრიდან 15 მაისამდე

(ფრჩხილებს გარედ ნაჩვენებია პეტერბურგის საათი, ფრჩხილებში-კი—ტფილისისა)

ა) ტფილისიდან მიდის:

ბათუმს:—1) საფოსტო № 3 საღამოს 7 ს. 20 წ. (8 ს. 18 წ.); 2) სამგზავრო № 5 დილის 8 ს. 50 წ. (9 ს. 48 წ.).

ბაქოს:—1) საფოსტო № 4 დილის 11 ს. 5 წ. (12 ს. 3 წ.); 2) სამგზავრო № 6 საღამოს 9 ს. 11 წ. (10 ს, 9 წ.); 3) სწრაფი № 20 (სამშაბათობით, პირდაპირ მოსკოვამდე)—დილის 7 ს. 18 წ. (8 ს. 16 წ.).

ყარსს:—1) საფოსტო № 7 /71 საღამოს 10 ს. 29 წ. (11 ს. 27 წ.); 2) სამგზავრო და საქონლისა № 74/75 დილის 11 ს. 30 წ. (12 ს. 28 წ.).

მიხაილოვოსა და ბორჯომს:—სამგზავრო № 7 ნაშუადღევის 1 ს. 52 წ. (2 ს. 50 წ.).

ბ) ბათუმიდან გამოდის:

ბაქო-ტფილისისაკენ:—1) საფოსტო № 4 საღამოს 9 ს. 54 წ. (10 ს. 52 წ.); 2) სამგზავრო № 6 დილის 7 ს. 50 წ. (8 ს. 48 წ.).

ზორაპნამდე: საღამოს 11 ს. 23 წ. (12 ს. 21 წ.)

გ) ბაქოდან გამოდის:

ტფილის-ბათუმისაკენ:—1) საფოსტო № 3 საღამოს 11 ს. 45 წ. (12 ს. 43 წ.); 2) სამგზავრო № 5 ნაშუადღევის 2 ს. 42 წ. (3 ს. 40 წ.); 3, სწრაფი № 19 (მარტო ტფილისამდე) (პარასკეობით. პირდაპირ მოსკოვიდან მოსული)—დილის 6 ს. (6 ს. 58 წ.).

დ) ქუთაისიდან გამოდის:

ბაქო-ტფილისისაკენ:—ღამის 1 ს. 40 წ. (2 ს. 38 წ.).

ბათუმისაკენ:—1) ღამის 3 ს. 10 წ. (4 ს. 8 წ.); 2) ნაშუადღევის 4 ს. 10 წ. (5 ს. 8 წ.); 3) საღ. 6 ს. 40 წ. (7 ს. 38 წ.)

ზორაპნისაკენ:—ღამის 3 ს. 10 წ. (4 ს. 8 წ.).

ე) ფოთიდან გამოდის:

რიონ-ქუთაისამდე:—დილის 6 ს. (6 ს. 58 წ.)

სამტრედია-ბათუმამდე:—ნაშუადღევის 3 ს. 27 წ. (4 ს. 25 წ.).

სამტრედია-ბაქომდე:—საღამოს 10 ს. 49 წ. (11 ს. 47 წ.). და საღამოს 11 ს. 30 წ. (12 წ. 28 წ.).

განცხადებანი

წიგნების გამომცემელ ამხანაგობის კიოსკში

იყიდება 1903 წლის

კალენდრები

1) კედ. კალენდარი ფასი 40 კ.; 2) საქართველოს კალენდარი გუნიასი—50 კ.; 3) პატარა ჯიბის კალენდარი—20 კ.

შეიძლება ფასდადებით გაიწეროთ: Тифлисъ, Грузинское Издателское Т—во, ლორის-მელიქოვის ქუჩა.

გრ. ჩარკვიანის სრული კედლის

კალენდარი

1903 წლისა. წელიწადი მე-XV. ფასი ორი აბაზი.

იყიდება ყველგან.

(3—3.—1)

ქუთაისში

სამ. ბ. თოფურიას

სამკურნალო,

რომელიც იმყოფება მათის უმაღლესობის პრინც ალექსანდრე ოლდენბურგელის მფარველობის ქვეშ. სამკურნალოში 60 საწოლი შინაგან, ნერვებისა, საქირურგიო, დედათა და თვალით ავადმყოფთათვის, მშობიარეთა განყოფილებით და ქიმიურ-მიკროსკოპიულ გამოკვლევათა კაბინეტით. გადამდების სენით და სულით ავადმყოფებს სამკურნალო არ ღებულობს. (0—87)

Открыта подписка на 1903 годъ

(двадцать четвертый годъ изданія)

НА ЕЖЕМѢСЯЧНОЕ ЛИТЕРАТУРНО-ПОЛИТИЧЕСКОЕ ИЗДАНІЕ

РУССКАЯ МЫСЛЬ

Вышла Декабрьская (двѣнадцатая) книга

СОДЕРЖАНІЕ: 1) Быть или не быть? повѣсть—Н. И. Тимковскаго. Окончаніе. 2) Стихотворенія въ прозѣ.—Ярослава Врялицкаго. Пер. съ чешскаго—А. Г. 3) Сонъ. (новогодній разсказъ).—Н. Н. 4) Въ тихомъ уголкѣ—Е. М. Мимшыной. 5) Изъ Эдмонда де-Амичиса. Въ безсонницу. II. Новый годъ. Пер. съ итальян.—С. Г. 6) Русскіе писатели въ ихъ перепискѣ. Н. В. Гоголь, Т. Г. Шевченко, Д. И. Григоровичъ, А. И. Герценъ, Н. А. Некрасовъ; переписка о домѣ Кетчера. 7) Стихотвореніе.—М. А. Лохвицкой. 8) Какъ живетъ домашняя прислуга.—Ф. С. 9) Польскіе полки во Франціи. Истор. очеркъ.—Ю. Коробъ-Бржозовскаго. 10) Этюды о позитивизмѣ.—В. А. Гольцева. 11) Отъ Петербурга до Нерчинска.—(Новые матеріалы для біографіи поэта М. Л. Михайлова).—Н. Бѣлозерскаго. 12) Одинъ изъ послѣднихъ опытовъ обработки международнаго права.—Гр. Л. А. Камаровскаго. 13) Обзоръ дѣятельности Комитета министровъ при Императорѣ Николаѣ I-А-ева. 14) Основные вопросы учительскаго быта.—Н. В. Тулупова. 15) Механизмъ и витализмъ. Рѣчь О. Бючли.—Пер. Вл. Буткевича. Окончаніе. 16) Отголоски Харьк. Археологическаго съѣзда. Василія Сторожева. 17) Ніагара. Нью-Иоркъ. (Изъ путешествія по Америкѣ).—А. А. Черевковой. 18) Памяти П. С. Климентова—Сергѣя Живаго. 19) Неурожаи нынешняго года и продовольственный вопросъ. В. Л. 20) Внутреннее обозрѣніе. 21) Иностранное обозрѣніе—В. А. Г. 22) Современное искусство. Власть тьмы. (Художеств. театръ) Даздравствуетъ жизнь. (малый театръ)—Ю. А. 23) Библіографическій отдѣлъ. 24) объявленія.

Подп. цѣна съ доставкою и	12 м.	9 м.	6 м.	3 м.	1 м.
пересылкою во всѣ мѣста Россіи:	12 р.	9 р.	6 р.	3 р.	1 р.
За границу	14 р.	10 р. 50 к.	7 р.	3 р. 50 к.	1 р. 25 к.

Допускается разсрочка: при подпискѣ, 1 апрѣля, 1 іюля, 1 октября по 3 рубля—при непосредственномъ обращеніи въ контору или ея отдѣленія.

Цѣна отдѣльнаго номера съ пересылкой 1 руб. 30 коп. Книгопродавцамъ дѣлается уступка въ размѣрѣ 50 коп. съ полнаго годового экземпляра. Подписка въ разсрочку отъ книгопродавцевъ не принимается.

ПОДПИСКА ПРИНИМАЕТСЯ:

ВЪ МОСКВѢ: въ конторѣ журнала—Ваганьковскій пер., д. Аплаксиной. ВЪ ПЕТЕРБУРГѢ: въ книжномъ магазинѣ Н. П. Карбасникова; ВЪ КІЕВѢ: въ книжномъ магазинѣ Н. Я. Оглоблина. ВЪ ВАРШАВѢ: въ книжномъ магазинѣ Н. П. Карбасникова. ВЪ ВИЛЬНѢ: въ книжномъ магазинѣ Н. П. Карбасникова. ВЪ ПЕРМИ: въ земскомъ центральномъ книжномъ складѣ.

При к—рѣ редакціи журнала «Русская Мысль» находится складъ изданій.

Редакторъ-Издатель В. М. Лавровъ.

Дозв. ценз. Тифлисъ, 23 декабря, 1902 г. [illegible] (Электропеч. Груз. Издат. Т—ва)